პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი, 27 თებერვალი 1936 წ. № 48 (4507)

მაქსიმ გორკის მისალმება

მხურვალე გულითადი სალამი მშვენიერ საქართველოს. გაუმარჯოს მის მშრომელ ხალხს და მის გაბედულ და დაუღალავ ბელადებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგები ვოროშილოვი და პეტროვსკი

ოპერის თეატრში

25 თებერვალს ოპერისა და ბალეტის ტფილისის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სპექტაკლი საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიის წევრებისა და სტუმრებისათვის — მოძმე რესპუბლიკების დელეგატებისათვის.

ნაჩვენები იყო მეორე მოქმედება ოპერიდან „ქეთო და კოტე", პირველი აქტი ოპერიდან „დაისი" და დიდი კონცერტი.

სპექტაკლის დასაწყისისათვის თეატრში მოვიდნენ ამხანაგები **ვოროშილოვი და პეტროვსკი ამხ. ბერიასთან, მახარაძესთან, მგალობლიშვილთან, ლევანდოვსკისთან, მდივანთან, ელიავასთან** და საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობის წევრებთან ერთად.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს, საბჭოთა კავშირის მარშალს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ **კ. ვოროშილოვს** გამოჩენას მთავრობის ლოჟაში ხალხით გაჭედილი დარბაზი მქუხარე ტაშით და ხანგრძლივი, დიდხანს შეუწყვეტელი ოვაციით შეხვდა.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველა მისი მონაწილე სცენაზე გამოვიდა და მხურვალედ მიესალმა საყვარელ და ძვირფას სტუმარს ამხ. **ვოროშილოვს.**

ამხ. ვოროშილოვმა, აღნიშნა რა ქართული ნაციონალური ოპერის მნიშვნელოვანი წარმატებანი და ქართული ოპერის მიღწევათა მოსკოვში ჩვენების ხასურველობა, შემდგომი წარმატებანი უსურვა თეატრის მთელ კოლექტივს.

ამხ. კ. ვოროშილოვი ტრიბუნაზე

(ა.-კ. ფედერაციის მოედანი)

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

შენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულ ხალხთა დიდ და ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, შენ, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორს, საბჭოთა საქართველოს ხალხთა სახელით საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესია მხურვალე სალამს გიძღვნის საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თხუთმეტი წლისთავზე.

სისხლისმსმელი მტარვალები მეფის თვითმპყრობელობისა, ქართველ თავადებთან, მემამულეებთან და კაპიტალისტებთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდნენ საქართველოს მშრომელთა ექსპლოატაციას და სჩაგრავდნენ მათ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც დაამხო რუსეთში მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა, საქართველოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა. მენშევიკებმა ქართველ ხალხს უცხოელი იმპერიალისტების უღელი დაადგეს, საქართველო გადააქციეს ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის დასაყრდენად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მთლიანად გაანადგურეს საქართველოს მეურნეობა. ისინი სთესდნენ და აღვივებდნენ ნაციონალურ უთანხმოებას და შუღლს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის.

ქართველ ხალხს ნამდვილი განთავისუფლება და აღორძინება მოუტანა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც საქართველომ მოიპოვა თავისი მშრომელი მასებისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის შეერთებული ძალღონით. იგი მოიპოვეს და განამტკიცეს საქართველოს მშრომელებმა **ლენინისა** და შენი ხელმძღვანელობით, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო **სტალინ.**

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით,—რომლებსაც შენ ჩაუყარე საფუძველი, და რომლებიც შენ შექმენი, აღზარდე და გაამტკიცე,—საქართველოს მშრომელებმა სოციალიზმის განხორციელებაში უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს **ლენინ-სტალინის** პარტიის ხაზის განუხრელად განხორციელებით.

მეფის იმპერიის ჩამორჩენილი განაპირა კუთხიდან საქართველო გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ, აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად. პრიმიტიული მიწათმოქმედების ნაცვლად, საქართველოში შექმნილია მოწინავე სასოფლო მეურნეობა. საქართველოს სოფელში გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ. იფურჩქნება საქართველოს ხალხთა კულტურა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის წარმატებებისათვის ბრძოლაში ათასობით და ათეული ათასობით გაიზარდნენ საქართველოში ახალი ადამიანები, **ლენინ-სტალინის** საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, სოციალიზმის გმირები და **გმირი-ქალები.**

მდიდარი, სიხარულით აღსავსე და ბედნიერია საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ცხოვრება, უფრო სასიხარულო და დიადია მათი მომავალი.

ამ გამარჯვებებს საქართველოს მშრომელნი უნდა უმადლოდნენ **ლენინსა** და შენ, მის დიდ თანამებრძოლსა და მისი საქმის განმგრძობს.

ცარიზმის მძიმე ჩაგვრა-ბატონობის წლებში შენ დარაზმე **ლენინის** დროშის ქვეშ საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მოწინავე რაზმები. **ლენინთან** ერთად შენ მიუძღოდი მათ გამარჯვებისაკენ. **ლენინთან** ერთად შენ მოაწყე მათი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. **ლენინის** ანდერძთა შეურყევლობით, მისი საქმის განგრძობით შენ ხელმძღვანელობ სოციალიზმის გმირულ მშენებლობას.

დღეს—საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის საყოველთაო სახალხო დღესასწაულის ჟამს, შენსკენ, დიდი ბელადისა, ბრძენი მასწავლებლისა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობრისაკენ—მომართულია ჩვენი სასიხარულო, გულწრფელი გრძნობები უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულებისა.

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულ ხალხთა ბელადს—ჩვენს ბრძენს, ჩვენს საყვარელ დიდ **სტალინს!**

საქართველოს სსრ-ის ცაკის საიუბილეო სესია.

◇ ◇ ◇ ◇ ◇

სალამი საბჭოთა საქართველოს!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თხუთმეტი წლისთავი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ყოველ ბოლშევიკს, ყოველ შეგნებულ მუშას და კოლმეურნეს მოაგონებს პირველ ყოვლისა იმ შეუპოვარ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდნენ საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მუშათა მასები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

იქ, გორში, მუშის ოჯახში დაიბადა სტალინი, რომელშიაც ხორცი შეისხა პროლეტარიატის თეორიულ გონებამ, ნებისყოფამ, და ენერგიამ. საქართველომ მოგვცა მუშათა მოძრაობის ისეთი შესანიშნავი მოღვაწენი, როგორიცაა ამხ. სტალინი, ვლადიმერ კეცხოველი, ა. წულუკიძე, სერგო ორჯონიკიძე. საქართველომ ათასობით აღზარდა შესანიშნავი ბოლშევიკები, რომელთაც ძველი საქართველო გადააქციეს სოციალიზმის მოწინავე ქვეყნად. საქართველო იყო ისეთი კომუნისტების პოლიტიკური მოღვაწეობის სკოლა და ასპარეზი, როგორიც კალინინი, კიროვი, ა. მ. გორკი და მრავალი სხვ.

საქართველოს აქვს ისტორია ქართველი ხალხის და საქართველოს სხვა ხალხების გმირული ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის, ისტორია მეფეებთან, თავადებთან, მემამულეებთან, კაპიტალისტებთან ბრძოლისა. 1905 წლის რევოლუციის დროს მუშათა და გლეხთა მასებმა კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით, რომელთაც ამხ. სტალინი მეთაურობდა, გვიჩვენეს რევოლუციური ბრძოლის ნიმუშები, და ჩვენი პარტიის მე-3 ყრილობა აღნიშნავდა, „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობდა იქ ჩვენი პარტიის უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნასო". იმას შეგნებით, რომ „თვითმპყრობელობის გამარჯვება ხალხურ აჯანყებაზე კავკასიაში, რაც მას გაადვილდება იქაური მოსახლეობის მრავალტომიანი შემადგენლობით ყველაზე მავნე შედეგებს მოიტანს აჯანყების წარმატებებს მთელ რუსეთში". პარტიის III ყრილობა ავალებდა ცენტრალურ კომიტეტს და ყველა პარტიულ ორგანიზაციას დროზე აღმოეჩინათ დახმარება რევოლუციური კავკასიისათვის „თავის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით".

საქართველო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო ომის პერიოდში იყო საკვანძო პუნქტი იმპერიალისტური ზრახვების თავმოსაყრელად. მენშევიკური საქართველო ქართველი ხალხის გამცემთა ნოე ჟორდანიას, ჩხეიძის, წერეთლის და სხვების მეთაურობით სწვავდა ქართულ სოფლებს, რათა საშუალება არ მიეცა მათთვის დაემხოთ მემამულეთა ხელისუფლება. მენშევიკური საქართველო დენიკინელთა, დაშნაკებისა და მუსავატელთა ბუდე იყო. რენეგატი კაუტსკები ქებათა-ქებას ასხამდნენ მათ.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი მეფობა და ქართველმა ხალხმა ჩამოაგდო ისინი და გაჰგავა საქართველოდან, რათა საქართველო სოციალიზმის აყვავებულ ქვეყნად გადაექცია.

და დღეს საბჭოთა, სოციალისტურ საქართველოს თავისი არსებობის თხუთმეტი წლისთავზე სიამაყით შეუძლია მოიხედოს უკან და თვალი გადაავლოს განვლილ სახელოვან გზას. ეს ის გზაა, რომელსაც მივყევართ და მიგვიყვანს კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე.

ამის თავდებია ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც ყოველთვის უთმობდა პარტია საბჭოთა საქართველოს,—ის ყურადღება, რომელსაც მუდამ უთმობს მას ჩვენი პარტიის ბელადი ამხ. **სტალინი.**

ამის თავდებია — ის დაუნდობელი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრებთან, რომელსაც აწარმოებენ საქართველოს ბოლშევიკები ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით. ამის თავდებია მუშათა და გლეხთა მასების უდიდესი შემჭიდროება ჩვენი პარტიის გარშემო.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი სოციალისტური საბჭოთა საქართველოს, კომუნისტებსა და კომკავშირლებს!

მხურვალე ბოლშევიკური სალამი სოციალისტური საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს!

ემ. იაროსლავსკი

აკად. კარპინსკისაგან

მხურვალედ მივესალმები საბჭოთა საქართველოს მისი დამოუკიდებელი, თავისუფალი არსებობის თხუთმეტი წლისთავის გამო.

მეცნიერებათა საკავშირო აკადემია, რომელიც უკვე დიდი ხანია ხელმძღვანელობდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა კვლევა-ძიებას და მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოს სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებებთან, ამჟამად კიდევ უფრო ახლოა დაკავშირებული მასთან თავისი ფილიალის საშუალებით, დარწმუნებული იმაში, რომ საერთო სამეცნიერო მუშაობა განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა საქართველოსა და მეცნიერებათა საკავშირო აკადემიას შორის, ვუთვლი მას მისი შემდგომი განვითარებისა და აყვავების გულწრფელ სურვილებს.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი

ა. კარპინსკი.

დემიან ბედნისაგან

15 წლის წინათ აჯანყებულ მუშათა და გლეხთა ნებასურვილით საქართველომ მოიშორა მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების უღელი, განდევნა იმპერიალისტები და მათი დამქაშები—მენშევიკები და შევიდა საბჭოების ქვეყნის ხალხთა დიდ ოჯახში.

საბჭოთა საქართველოს 15 წელი — ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიდი გამარჯვებაა.

მხურვალე სალამი დიდი სტალინის სამშობლოს საბჭოთა ხელისუფლების 15 წლისთავის დღეს.

დემიან ბედნი.

◇ ◇ ◇ ◇ ◇ ◇ ◇

საქართველოს ყველა მუშას, მუშა-ქალს, კოლმეურნეს, კოლმეურნე-ქალს და ყველა მშრომელს

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიის მიმართვა

ამხანაგებო!

15 წლის წინათ საქართველოს მუშებისა და გლეხების და წითელი არმიის შეერთებულმა ძალამ დაამხო მენშევიკების—საერთაშორისო იმპერიალიზმის უმსგავს ლაქიავებულ მსახურთა, ქართველი ხალხის გათახსირებულ გამცემთა და მოღალატეთა ბატონობა და დაამყარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება.

მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

„თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველო გადაიქცა სანიმუშო სოციალისტურ რესპუბლიკად. მისი მზარდი მრეწველობა, მისი მზარდი სასოფლო მეურნეობა ისეთ ძვირფას პროდუქტებს გვაძლევენ, როგორიცაა მარგანეცი, იშვიათი ლითონები, ციტრუსოვანი კულტურები, ჩაი, ღვინო, თამბაქო, ბამბა. უფრო და უფრო მაღლა იწევს მუშების, კოლმეურნეების, ყველა მშრომელთა კულტურული დონე და მათი კეთილდღეობა. მტკიცედ უპყრიათ ხელში ქართველ ბოლშევიკებს—და მათი ხელმძღვანელობით საქართველოს ყველა მშრომელთაც—**ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი უძლეველი დროშა".

სოციალისტური მშენებლობის დარგში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვებულია დიდი **სტალინის** ღირსეული მოწაფის, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** მეთაურობით, ჩვენი რესპუბლიკა დაჯილდოებულია **ლენინის ორდენით.**

ეს მაღალი ჯილდო ახალ ვალდებულებებს აკისრებს **საბჭოთა საქართველოს ყოველ მუშასა და კოლმეურნეს, ყოველ მშრომელს.** მიღწეული წარმატებანი გვაფრთოვანებენ საბრძოლველად სოციალიზმის ახალ-ახალი, უფრო დიდი გამარჯვებებისათვის.

საქართველოს მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, სოციალისტური მრეწველობის ყველა მუშაკნო! ჩვენი ამოცანა ის არის, რომ უფრო სწრაფად დავეუფლოთ წარმოების მოწინავე ტექნიკას, მუშაობის სტახანოვური მეთოდების საფუძველზე მთლიანად გამოვიყენოთ აგრეგატებისა, მანქანებისა და დაზგების სიმძლავრე, კვლავ წინ წავწიოთ საქართველოს მრეწველობის განვითარება, გავადიდოთ პროდუქციის გამომუშავება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და შევამციროთ მისი თვითღირებულება. გადავაქციოთ 1936 წ. სტახანოვური მუშაობის წლიწადად სოციალისტური მრეწველობისა და ახალი მშენებლობის ყველა დარგში, ახალი სტახანოვური რეკორდების, ახალი ტექნიკური ნორმებისა და ტექნიკური სწავლების ფართოდ გაშლის წლიწადად.

საქართველოს კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო, აგრონომებო და აგროტექნიკოსებო, ვეტექიმებო და ზოოტექნიკოსებო, სოციალისტური მიწათმოქმედების ყველა მუშაკნო! შემდგომაც განვამტკიცოთ საკოლმეურნეო წყობილება საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების განუხრელი განხორციელების საფუძველზე. მოვაწყოთ ბოლშევიკური ბრძოლა ჩვენი ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს პლანტაციებისა და ვენახებისა და ხილის ბაღების მაღალი მოსავლიანობისათვის. პარტიამ და მთავრობამ ჩვენ დაგვისახეს საპატიო ამოცანა—ძირითადად უზრუნველვყოთ მეორე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის საჭიროებათა დაკმაყოფილება ჩაის მხრივ. დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები ამ ამოცანის შესასრულებლად, გავადიდოთ ჩაის პლანტაციების ფართობი, გადავაქციოთ ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლიანობისა და მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის სტახანოვური ნიმუშები ჩაის პლანტაციების ყველა კოლმეურნეთა კუთვნილებად.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით, 1940 წლისათვის ციტრუსოვანი კულტურების ფართობი უნდა გადიდდეს 20,000 ჰექტარამდე. საქართველომ უნდა მისცეს საბჭოთა კავშირის მშრომელებს ციტრუსოვანი ნაყოფი არა მილიონობით, არამედ მილიარდობით. შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის ეს საბრძოლო დავალება, გავადიდოთ ჩვენი ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების ფართობები. მოვაწყოთ თითოეული ციტრუსოვანი ხის სანიმუშო მოვლა, გავადიდოთ მისი მოსავლიანობა.

სოციალისტური მეცხოველეობა საქართველოში მტკიცედ დაადგა აღმავლობის გზას. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ პირველი სერიოზული წარმატებანი, რომლებსაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მივაღწიეთ პირუტყვის სულადობის მატების საქმეში და კიდევ უფრო სწრაფად წავწიოთ წინ ჩვენი მეცხოველეობა, გავაუმჯობესოთ და ახალ საფეხურზე ავიყვანოთ მეცხოველეობის ყველა საბჭოთა მეურნეობისა და საკოლმეურნეო ფერმების მუშაობა, უზრუნველვყოთ მოზარდი პირუტყვის სანიმუშო მოვლა, გავადიდოთ პირუტყვის პროდუქტიულობა და [illegible] წიოთ მისი სულადობის შემდგომი ზრდას.

ტრაქტორისტებო და კომბაინერებო, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ის მუშებო, **კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებო და ბრიგადირებო, კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო!** ქვეყანა მოელის თქვენგან სანიმუშო მუშაობას, სოციალისტური მინდვრების მოსავლიანობისათვის ბრძოლის მაღალ მაჩვენებლებს. გავამრავლოთ საკოლმეურნეო წარმოების სტახანოველთა, ბოლშევიკურ კოლმეურნეობებისათვის, შეძლებული და კულტურული საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგები.

მეცნიერებისა, სკოლისა, ხელოვნებისა და კულტურული ფრონტის ყველა მუშაკნო! სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი წარმატებები იწვევს ფართო მშრომელი მასების კულტურულ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა არნახულ ზრდას. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სოციალისტური კულტურის ყველა დარგის: მეცნიერების, სკოლის, ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მასათა მხატვრული თვითმოქმედების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვათა განვითარების წინწაწევა — კულტურული ფრონტის ყველა მუშაკის საპატიო მოვალეობაა. საბჭოთა ინტელიგენციამ დაუღალავად უნდა იმუშაოს ამხანაგ **სტალინის** მიერ მუშათა კლასისა და მშრომელთა მთელი მასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ მოცემულ ისტორიულ მითითებათა შესრულებისათვის.

უფრო მხნედ ვიმუშაოთ სოციალისტური კულტურის ახალ ღირებულებათა შექმნისათვის, გავამდიდროთ ჩვენი ქვეყანა ახალ-ახალი მეცნიერული გამოგონებითა და აღმოჩენით, შევქმნათ სოციალიზმის დიადი ეპოქის შესაფერისი ნაწარმოებნი ხელოვნებისა და ლიტერატურისა. ავიყვანოთ სოციალიზმის ამოცანების დონეზე ჩვენი სკოლის მუშაობა, კიდევ უფრო უკეთ მოვაწყოთ სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა.

საქართველოს ხალხნო! აფხაზეთისა, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ხალხნო! სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენ მოგვიპოვეთ სომხეთისა და აზერბეიჯანის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ძმური კავშირი. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ გააერთიანა ამიერ-კავკასიის ხალხები ურღვევ კავშირად—ამიერ-კავკასიის ფედერაციად და შექმნა განუყრელი ძმური კავშირი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს- საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს შორის.

„სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა—დიდი და სერიოზული მონაპოვარია—სთქვა ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხ. **სტალინმა** ვინაიდან, ვიდრე ეს მეგობრობა არსებობს ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალნი და უძლეველნი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში —არც შინაური არც გარეშე მტერი, ვიდრე ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს".

დაუღალავად განვამტკიცოთ ეს დიადი მეგობრობა საქართველოს, ამიერ-კავკასიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის.

საქართველოს მშრომელნო! საერთაშორისო იმპერიალიზმი ახალ იმპერიალისტურ ომებს ამზადებს. ფაშისტური სახელმწიფოები აქტიურად ამზადებენ დანაშაულებრივ თავდასხმას ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე. ახალი იმპერიალისტური ომების საფრთხის წინაშე, საბჭოთა ქვეყანაზე თავდასხმის მუქარის წინაშე—ყოველნაირად განვამტკიცოთ მისი თავდაცვის საქმე, კვლავაც განვამტკიცოთ ჩვენი ქართული ნაწილებისა და მთელი ჩვენი მშობლიური გმირული მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერება და ძალ-ღონე. მზად ვიყოთ ყოველთვის, რომ შეერთებული ძალ-ღონით მკერდით დავიცვათ საბჭოების ქვეყანა.

საქართველოს მშრომელნო ხალხნო! სოციალიზმის გრანდიოზული გამარჯვებანი, მოვიპოვეთ ლენინური პარტიისა და მისი დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით. კიდევ უფრო მტკიცედ შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები ბოლშევიკების სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის გარშემო, გავაძლიეროთ ჩვენი საყვარელი სოციალისტური მშენებლობის ყველა და ყოველგვარი მტრის წინააღმდეგ და **ლენინ-სტალინის** უძლეველი დროშით, საყვარელი და დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით გავწიოთ წინ სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, და ყველა მშრომელთ!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს—ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს სსრ კავშირის მთავრობას!

გაუმარჯოს ბოლშევიკების სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და დაჩაგრულ ხალხთა ბელადს—ჩვენს საყვარელ დიდ **სტალინს.**

◇ ◇ ◇

ამხ. კ. ვოროშილოვი და ლ. ბერია საქ. ცაკის საიუბილეო სესიის პრეზიდიუმში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ბერია

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება

(საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლისთავისათვის)

წერილი მოთავსებულია „პრავდის“ 25 თებერვლის ნომერში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წელი—ეს არის ქართველი ხალხის ახალი ისტორიის შესანიშნავი ფურცლები.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით საბჭოთა საქართველოს ხალხები მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებითა და ძლევამოსილად აშენებენ სოციალიზმს.

I

ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა—ეს იყო დამონებულ ერთა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის, შეუბრალებელი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტიკა.

რუსეთის ცარიზმი, აწარმოებდა რა დაპყრობის პოლიტიკას სამხრეთით და აღმოსავლეთით, მტაცებლური კლანჭებით აძრობდა საქართველოს ხალხთა სხეულს. ცარიზმი ეყრდნობოდა ქართველ თავადებს, აზნაურებს და მემამულეებს, ხელს უწყობდა მათ მასების ექსპლოატაციასა და ძარცვაში და ამით ცდილობდა განემტკიცებინა და შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა საქართველოში.

საქართველოს დამონებული გლეხობა არაერთხელ აჯანყებულა მემამულეებისა და მეფის თვითმპყრობელობის ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ.

1812—1813 წელს გლეხები აჯანყდნენ კახეთში; 1841 წელს—გურიაში; 1857 წელს—სამეგრელოში; 1858 წელს—იმერეთში.

მეფის გენერლები, თავადები და მემამულეები გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს სისხლის მორევში ახრჩობდნენ.

„მეამბოხე სოფლები, — სწერდა საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი, — დავაწიოკეთ და გადავწვით, ბაღები და ვენახები გავჩეხეთ. მოღალატენი მრავალი წლის შემდეგაც ვერ დაიბრუნებენ პირვანდელ მდგომარეობას. უკიდურესი სიღატაკე მათი სასჯელი იქნება“.

(„Записки генерала Ермолова во время управления Грузией“, изд. 1868 года).

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ტალღა ახალი სიძლიერით ამოიფრქვა, როცა მასობრივი ბრძოლის სცენაზე გამოვიდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი.

1902—1905 წლები იყო გლეხთა განუწყვეტელი მღელვარების, აჯანყებისა და მუშათა გაფიცვების წლები.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო მეფის სახელზე წარდგენილ „უქვეშევრდომილეს მოხსენებით ბარათში“ 1907 წელს აღიარებინა ის განსაკუთრებული შეუპოვრობა, რომლითაც საქართველოს მშრომელი მასები იბრძოდნენ თავისი განთავისუფლებისათვის, თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

„ამ მხარეში ჩემი ჩამოსვლისას, — სწერდა ვორონცოვ-დაშკოვი, — რევოლუციურმა მოძრაობამ აქ, ალბათ, საერთო-საიმპერიო მოძრაობასთან დაკავშირებით, უკვე სახელმწიფო წყობილებისთვის საშიში მასშტაბი მიიღო. ქალაქ ტფილისში დაუყოვნებლივ გამოცხადდა სამხედრო წესები... ამავე დროს ტფილისის გუბერნიის ნაწილს და მთელ ქუთაისის გუბერნიას მოდებული ჰქონდა სოფლის მოსახლეობის მღელვარება, რომელსაც თან ახლდა მემამულეთა კარმიდამოების დარბევა, გლეხთა მიერ ბეგარის გადახდაზე უარისთქმა, თავის სოფლის ხელისუფალთა არჩევა, კერძო მიწების ძალდატანებით ხელში ჩაგდება, სახაზინო და კერძო მფლობელთა ტყეების მასობრივად გაჩეხვა... ტფილისში, ბაქოში და მხარის სხვა ქალაქებში თითქმის ყოველდღე ხდებოდა ყველა პროფესიის მუშათა გაფიცვები, რკინისგზის მოსამსახურეთა ჩათვლით...“.

„ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის საერთო გაფიცვის გავლენით ქუთაისის გუბერნია ტფილისისაგან სავსებით მოწყვეტილი აღმოჩნდა. რკინიგზის ყველა სადგური ამ გუბერნიის ფარგლებში ხელთ იგდეს შეიარაღებულმა რევოლუციონერებმა. სურამის გვირაბი დანგრეული იყო ორთქლმავლებით, რომლებიც ორივე მხრიდან შეუშვეს, რათა შეეფერხებინათ ჯარების გადაყვანა ტფილისიდან“...

„ყოველ ოდნავი წინააღმდეგობის გაწევის დროს გლეხთა ბრბო არბევდა და აწვავდა სოფლის სამმართველოებს მათი საქმეებითურთ. სოფლებში ყველგან იმართებოდა მიტინგები და თავყრილობები, სადაც აშკარად ეწეოდნენ ზოგადსაერთო თანასწორობის, კაპიტალიზმის მოსპობისა და მართველობის არსებული წესის შეცვლის იდეათა აშკარა პროპაგანდას.. საქართველოს სოფლის მასების ამ მოძრაობის წინააღმდეგ კავკასიის ადმინისტრაცია ღებულობდა სხვადასხვა რეპრესიულ ზომას. გურიაში, 1902 წლიდან დაწყებული, არაერთხელ გაიგზავნა ჯარები, სოფლის საზოგადოებებს ეგზეკუციებს უკეთებდნენ, აგიტატორებს აპატიმრებდნენ და მხარიდან ასახლებდნენ“...

ასე ლაპარაკობდა სერიოზულად შეშინებული მეფის სატრაპი საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე.

ისეთი სატრაპიც კი, როგორიც ვორონცოვ-დაშკოვი იყო, იძულებული გახდა მეფის სახელზე გაგზავნილ ფრიად საიდუმლო მოხსენებით ბარათში აღიარებინა ქართველი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის განსაკუთრებული სიმძიმე. იგი, ალბათ, ცდილობდა გაემართლებინა თავისი თავი მეფის წინაშე და პასუხისმგებლობა საქართველოს რევოლუციური ამბებისათვის დაეკისრებინა თავის წინამორბედებისათვის საქართველოს და კავკასიის მმართველობის დარგში.

„ბატონყმობის გაუქმება ამიერ-კავკასიისა და მეტადრე საქართველოს ფარგლებში, — სწერდა იგი, — მოხდა მემამულეებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ და გლეხობისათვის არახელსაყრელ პირობებში ამასთან... მან გააძლიერა გლეხთა სამემამულო ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ. ბატონყმობის დროს არსებულ ნორმაზე უფრო მეტად... სახაზინო ხარკით დასაბეგრ წყაროებს ეძებენ მართალი თუ მრუდე გზით, გლეხთა ნადელის ნაწილში აღმოჩნდება თუ არა ტყე, მაშინვე ტყეს სახაზინო ხარკის წყაროდ ხდიან... თუ ნადელის მეორე ნაწილი დაიფარა წყლით მდინარის კალაპოტის შეცვლის დროს, იგი ხდება სახაზინო სათევზაო ხარკის წყაროდ... საქმე იქამდე მიდის, რომ მოსახლეთა საკუთარი ხელით თავის საკარმიდამო მიწებზე ნახარებ კაკლის ხეებს სახაზინო სახარკო წყაროდ ხდიან.

გლეხები, მიწის იმ ფართობში, რომელიც ორჯერ აღემატებოდა კერძო მფლობელობის მიწებს, მარტო ფულადს ხარჯს კერძო მფლობელებზე ოცჯერ მეტს იხდიდნენ“.

გლეხობის მშრომელი მასების ამ ექსპლოატაციას ემატებოდა აზნაურების, თავადების, მოხელეებისა და პოლიციის თვითნებობა.

სოფლის სასამართლოებში და სოფლის სამმართველოებში გამეფებული იყო მექრთამეობა და ძალადობა. ქართველი მემამულეები მეფის პოლიციელებთან ერთად სცემდნენ, აწამებდნენ და დაუზოგავად ჰყვლეფავდნენ მშრომელებს.

ურიცხვ დამსჯელ ექსპედიციებსა და ეგზეკუციებს თან სდევდა მხეცობა და სისასტიკე.

კოლონიზაციის ინტერესებისათვის, საქართველოში გაძლიერებით ასახლებდნენ გერმანელ კოლონისტებს, ანატოლიის ბერძნებს, თურქეთის სომხებსა და რუს სექტანტებს.

4.670 ათასი მანეთის საერთო-სახელმწიფო ხარჯებიდან პოლიციის შესანახად იხარჯებოდა 57 პროცენტი, სახალხო განათლებაზე კი—მხოლოდ 4 პროც. სკოლების საშუალებით ატარებდნენ რუსიფიკაციის პოლიტიკას. სკოლები ცოტა იყო, ხოლო სწავლა არსებულ სკოლებში უაღრესად დაბალ დონეზე იდგა.

ცარიზმის ასეთი პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობა მოსახლეობაში.

„ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა კუთხეებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას, რათა მასები მონობასა და უმეცრებაში მყოლოდა. ცარიზმმა განაპირების საუკეთესო კუთხეებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა მკვიდრი მცხოვრებნი უარეს რაიონებში შეედევნა და ეროვნული შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რათა მასები ბნელეთში მყოლოდა. ცარიზმი ყოველგვარ ინიციატივას უხშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანებს. დასასრულ, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხის მასათა ყოველგვარ აქტივობას“.

(სტალინი. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის ნაციონალურ საკითხში“. „პრავდა“, № 226, 10 დეკემბერი, 1920 წელი).

მაგრამ იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა ბლოკს ჰკრავდა ნაციონალურ ქართველ ბურჟუაზიასთან, თავადებთან, აზნაურებთან და მემამულეებთან, რათა განემტკიცებინა თავისი ბატონობა დაპყრობილ ეროვნებათა მშრომელ მასებზე, და ცდილობდა გაეღვივებინა ეროვნებათა შორის მტრობა, ამ დროს რუსეთისა და საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მოწინავე წარმომადგენლები ერთმანეთთან ჰკრავდნენ მჭიდრო ინტერნაციონალურ კავშირს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის მოწინავე პროლეტარები მხურვალედ ეხმარებოდნენ საქართველოს და კავკასიის მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და მხარს უჭერდნენ მას.

საქართველოში 1905 წლის გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებით, რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) მე-3 ყრილობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„ღებულობს რა მხედველობაში:

1) რომ კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობდნენ იქ ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2) რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად უკვე მივიდა საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად შეუბრალებელ განადგურებას;

4) რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც ადვილებს იქაური მოსახლეობის სხვადასხვა ტომობრივი შემადგენლობა, უაღრესად მავნე შედეგები ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელს რუსეთში.

რ.ს.-დ.მ.პ. მესამე ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის კავკასიის გმირულ პროლეტარიატს და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ, რათა უფართოესად გავრცელდეს ცნობები კავკასიის მდგომარეობის შესახებ ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, წრეებში საუბრებისა და სხვა გზით, აგრეთვე იმისათვის, რომ დროზე დაეხმარონ კავკასიას მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“.

(III ყრილობის რეზოლუცია, გვ. 527).

ამაგრებდნენ რა შერყეულ ტახტს, მეფისნაცვალი და მეფის გენერლები ქართველ თავადებთან და აზნაურებთან თანამშრომლობით, ქართველი მენშევიკებისა და ნაციონალისტური პარტიების გამცემლობის დახმარებით, დაუნდობლად უსწორდებოდნენ საქართველოს მშრომელ მასებს, რევოლუციურ მუშებს, ცეცხლითა და მახვილით აქრობდნენ მათს გამოსვლებს. ქართველი ხალხის საუკეთესო რევოლუციურ წარმომადგენელთა ძვლებით მოჰფინა მეფის მთავრობამ შორეული გზა საქართველოდან ციმბირამდე.

ასეთი იყო მეფის თვითმპყრობელობის „ნაციონალური პოლიტიკა“.

II

რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველომ მენშევიკ-ნაციონალისტთა ბატონობის თითქმის სამი წლის პერიოდი განიცადა.

მენშევიკურმა მმართველებმა საქართველოში არამც თუ არ მოუტანეს განთავისუფლება საქართველოს მშრომელ მასებს, არამც თუ ვერ მიაღწიეს საქართველოს სამეურნეო და ნაციონალურ-კულტურულ აღორძინებას, არამედ პირიქით, მოშალეს ისედაც უძლური სამეურნეო ცხოვრება, განრყვნეს კულტურის ჯანსაღი ყლორტები, რომლებიც თვით ხალხში იფურჩქნებოდა, ეწეოდნენ ქართველი ხალხის მოღალატეობას და ჰყიდდნენ მას დასავლეთის იმპერიალისტებზე, მხარს უჭერდნენ საქართველოში თავადებისა და აზნაურების, მემამულეთა და კულაკთა ჩაგვრა-ბატონობას. მენშევიკების ბატონობის დროს ქართველმა ხალხმა კვლავ მძიმე ტანჯვა განიცადა.

ლაღადებდნენ რა „დემოკრატიულ თავისუფლებებზე“ მენშევიკები აშკარად და უტიფრად ღალატობდნენ ქართველი ხალხის ინტერესებს ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების სასარგებლოდ.

„ვიცი, — ამბობდა მენშევიკური მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია, —მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტთა მხარეზე ვართ. ამიტომ აქ მე გადაჭრით უნდა განვაცხადო: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“.

და მენშევიკებს დასავლეთის იმპერიალისტები ერჩივნათ, ვიდრე მშრომელი მასების რევოლუციური განთავისუფლება, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა.

თავიანთ გამყიდველობას დასავლეთის იმპერიალისტებზე მენშევიკები ჰფარავდნენ „დემოკრატიული“ ლაყბობით საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შესახებ.

საქართველოში გერმანიის საოკუპაციო ჯარების ჩამოსვლის გამო საქართველოს მენშევიკური მთავრობა 1918 წლის 13 ივნისს იუწყებოდა:

„საქართველოს მთავრობა აცხობებს მოსახლეობას, რომ ტფილისში ჩამოსული გერმანელთა ჯარები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მათს ამოცანას შეადგენს საქართველოს მთავრობასთან სრული თანხმობითა და მისი მითითებით დაიცვან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები“.

(გაზეთი „ბორბა“, 1918 წ. 13 ივნისი, № 92).

საქართველოს დამოუკიდებლობა პირწმინდა მოტყუებად იქცა. ნამდვილად გერმანიის ჯარების მოსვლა საქართველოში მოასწავებდა გერმანიის იმპერიალისტების მიერ საქართველოს ოკუპაციას და მის მთლიანად ხელში ჩაგდებას. „ეს,—როგორც ლენინი ამბობდა,—იყო გერმანელთა ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკ მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ“.

გერმანიის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში, გერმანელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო. მათი ადგილი ინგლისის საოკუპაციო არმიამ დაიკავა.

მენშევიკები თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ინგლისელი ოკუპანტებიც „მოწვეული“ ყოფილიყვნენ თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მათს ამოცანას შეადგენდა მთავრობასთან „სრული თანხმობით“ და მისი „მითითებით“ დაეცვათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები.

1918 წლის 22 დეკემბერს, საქართველოში ინგლისის საოკუპაციო ჯარების შემოყვანის გამო, საქართველოს მთავრობამ ინგლისის მისიის თავმდაბლურეს პოლკოვნიკ ჯორდანს გაუგზავნა ნოტა, რომელსაც ხელს აწერდა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი:

1. „საქართველოს მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების შემოყვანა წესრიგის დასამყარებლად, ვინაიდან თვით მთავრობას მოეპოვება საკმაო ძალები ამ მიზნისათვის.

2. თუ ამ ჯარების შემოყვანა რაიმე სხვა მიზანს ისახავს, საქართველოს მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ამ შემოყვანას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუ საქართველოს მთავრობის თანხმობა არ იქნება“.

გეგეჭკორის ამ ყალბი და მუხთალური განცხადების პასუხად ინგლისის მისიის თავმჯდომარე ჯორდანი მეორე დღესვე, 1918 წლის 23 დეკემბერს, სწერდა მენშევიკურ მთავრობას:

„ვმოქმედებ რა ბაქოში მყოფი მოკავშირეთა ჯარების სარდლის გენერალ ტომსონისაგან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას გამოჰყოთ სადგომები ქვეითი ჯარის ერთი ბრიგადისათვის, არტილერიის ერთი ბრიგადისა და 1.800 ცხენისათვის, აგრეთვე შესაფერი შენობა შტაბისათვის.. მე მჯერა, რომ ჩემი თხოვნა შესრულებული იქნება და ყოველგვარი დახმარება გამეწევა მოკავშირე ჯარების შემოსაყვანად. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ხვალ გამომიგზავნით ავტომობილს და ოფიცერს, რომელიც მიიყვანს თქვენს მიერ მოკავშირეთა ჯარებისათვის გამოყოფილ შენობებს“.

(ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფილისი, 1919 წ.).

ასე ელაპარაკებოდა ინგლისის სარდლობა საქართველოს მენშევიკურ „დამოუკიდებელ“ მთავრობას, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ გეგეჭკორის პროტესტი ინგლისის ჯარების შემოყვანის წინააღმდეგ განცხადებული იყო მხოლოდ საქართველოს მშრომელთა თვალის ასახვევად და მენშევიკური მთავრობა სიამოვნებით დასთანხმდებოდა ინგლისის საოკუპაციო არმიის შემოყვანას.

როგორც ვიცით, ეს ასეც იყო.

საქართველოს „დამოუკიდებელი“ მმართველები ნამდვილად აღმოჩნდნენ მოსყიდული მარიონეტები, რომლებიც ინგლისის იმპერიალისტთა დუდუკზე ცეკვავდნენ.

„პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის გაჩაღებული სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში, — სწერდა ამხანაგი **სტალინი**, — განაპირა ქვეყნებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი:

ან რუსეთთან ერთად, და მაშინ — განაპირა ქვეყნების მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტთა ჩაგვრისაგან;

ან ანტანტასთან ერთად, და მაშინ— აუცილებელი იმპერიალისტური უღელი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს“.

(**სტალინი.** საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის ნაციონალურ საკითხში. 1920 წ. 10 ოქტომბრის „პრავდა“, № 226).

ქართული მენშევიზმი — საქართველოში თავისი ბატონობის პერიოდში — ლოგიკურად ამთავრებდა მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მოღალატეობისა და გამცემლობის გრძელ გზას, რომელიც მან ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ხანგრძლივ წლებში დაიწყო.

1918 წლის 26 აპრილს საქართველოსა და სრულიად რუსეთის მენშევიზმის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი ამიერ-კავკასიის სეიმში ამბობდა:

„როცა რუსეთში იქმნებოდა ბოლშევიზმი და როცა იქ სახელმწიფოს ცხოვრების წინააღმდეგ სასიკვდილო ხელი აღიმართა. ჩვენ მთელი ძალღონით, რაც კი გაგვაჩნდა ვებრძოდით ბოლშევიზმს, ვინაიდან ჩვენ შევიგნეთ, რომ რუსის ერისა და რუსეთის სახელმწიფოებრიობისათვის ჩაცემული ლახვარი ეს არის ლახვარი მთელი დემოკრატიისათვის. ჩვენ იქ ვებრძოდით სახელმწიფოს მკვლელებს და ერების მკვლელებს და იმდენივე თავგანწირვით ვებრძოლებით აქაც ერების მკვლელებთან“.

(ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 26 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან. ამიერ - კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფილისი, 1919 წ.).

წერეთლის ეს მაღალფარდოვანი ფრაზები მოასწავებდნენ, რომ მენშევიკებს ბოლშევიკებთან რაიმე დაახლოებას ურჩევნიათ ბლოკი თეთრგვარდიელებთან, საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებთან.

მართლაც 1918 წლის 25 სექტემბერს ქ. ეკატერინოდარში ყუბანის შეიარაღებული მთავრობისა და თეთრგვარდიელთა არმიების წარმომადგენელთა თათბირზე, რომელსაც გენერლები დენიკინი, ალექსეევი, რომანოვსკი, დრაგომიროვი და ლუკომსკი დაესწრნენ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა გულახდილად განაცხადა:

„ბოლშევიკებთან დამოკიდებულების საკითხზე შემიძლიან განვაცხადო, რომ ბოლშევიზმთან ბრძოლა ჩვენს ფარგლებში დაუნდობელია. ჩვენს განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით ვახშობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრება, და მე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც თავის თავად ლაპარაკობენ... ამასთან ერთად ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოგაგონოთ, რომ არ უნდა დაივიწყოთ ისიც, თუ რა სამსახური გაგიწიეთ თქვენ ბოლშევიზმთან ბრძოლაში“. „ახლა ჩვენ თქვენთან ერთად ვურტყამთ ერთ წერტილს, რომელიც ამ მომენტში მოასწავებს მტრულ ძალას როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვისაც...“

(ამიერ- კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფილისი, 1919 წ.).

ქართველი მენშევიკები ლაქიობას უწევდნენ დასავლეთის იმპერიალისტთა წინაშე, უკავშირდებოდნენ თეთრგვარდიელებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ, მხარს უჭერდნენ საქართველოში ბურჟუაზიის, თავადთა აზნაურთა და მემამულეთა ჩაგვრა-ბატონობას, რითაც ამაგრებდნენ კაპიტალიზმს, ხოლო საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობის მშრომელ მასებს მძიმე სატანჯველს და ექსპლოატაციას განუკუთვნებდნენ.

„ეჭვს გარეშეა,—ამბობდა ნოე ჟორდანია,—რომ ყოველგვარი სახელმწიფო ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით ვერ დააღწევს თავს საქართველოს სახელმწიფოც. ამის თავის დაღწევა — წმინდა უტოპიაა და ჩვენ მას ოდნავადაც არ ავყვებით“.

(ნ. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე“ მოხსენებანი და სიტყვები გვ. 121).

და ქართველი მენშევიკები ერთგულად ემსახურებოდნენ ბურჟუაზიის ინტერესებს. სოციალიზმის შესახებ ლაპარაკი ფუჭი ლაყბობა იყო მშრომელი მასების მოსატყუებლად.

„თქვენ გგონიათ,—ამბობდა ნ. ჟორდანია,—რომ რაკი მთავრობა სოციალისტურია, მან სოციალიზმი უნდა განახორციელოს. ეს—ბოლშევიკების შეხედულებაა... ჩვენ კი სხვანაირად ვფიქრობთ. ჩვენ ვამბობთ: როცა სოციალიზმი განხორციელდება სხვა ქვეყნებში, მაშინ იგი ჩვენშიაც განხორციელდება (სიტყვა საქართველოს პარლამენტში 1918 წლის 16 ივნისს).

1920 წლის შემოდგომისათვის საქართველოში სამეურნეო-ეკონომიურმა კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მარაგი, რომელიც საქართველოში ყოფილი მეფის არმიის საინტენდანტო სამმართველოსაგან დარჩა, შეიჭამა. ფაბრიკებისა და ქარხნების უმრავლესობა არ მუშაობდა. რკინიგზის ტრანსპორტი სავსებით მოიშალა. საქართველოს სოფელი გაპარტახებას და გაღატაკებას განიცდიდა. მენშევიკური მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია იძულებული იყო აღიარებინა:

„რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ... მაგრამ ახლა ის ჩვენი აზრი უკვე გამართლდა. ახლა ყოველი ჩვენთაგანი მთელი სიმწვავით განიცდის თავის თავზე მწარე სინამდვილეს. ჩვენ უკვე მივედით კატასტროფამდე“.

(სიტყვა ეკონომიურ თათბირზე. გაზეთი „ბორბა“ 16 ოქტომბერი 1920 წ. № 235).

მაშასადამე, ამ დროისათვის საბოლოოდ შეიჭამა ის უდიდესი მარაგი, რომელიც ტფილისში რუსეთის ყოფილი არმიის საინტენდანტო სამმართველოს დარჩა.

შრომის მინისტრის მოადგილე ერაძე 1920 წელს საქართველოს რკინიგზელთა ყრილობაზე ამბობდა:

„საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის. შიმშილმა, სიღარიბემ და გაჭირვებამ მიაღწია უკიდურეს საზღვარს, რომლის შემდეგ უნდა მოველოდეთ ჩვენი კლასის ფიზიკური გადაშენების სწრაფ და ძლიერ პროცესს. ჩვენი საზოგადოების არც ერთი დემოკრატიული კლასი ან ჯგუფი არ იმყოფება ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როგორშიაც ქალაქის მუშები აღმოჩნდნენ“ (პროფ. მოძრაობის არქივი № 3, საქმე № 280).

ასე აჯამებდა ბატონი ერაძე მენშევიკური პოლიტიკის შედეგებს საქართველოში.

საქართველოს მშრომელი მასები მენშევიკთა ამ გამცემლურ პოლიტიკას აჯანყებებით უპასუხებდნენ.

1918-1919-1920 წლებში, ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საქართველოში რამდენჯერმე აზვირთდა აჯანყებათა ტალღა მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყდებოდნენ გურიისა და სამეგრელოს გლეხები, აჯანყდებოდნენ გორის, დუშეთის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების, ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრების გლეხები, აჯანყდებოდნენ აფხაზეთის გლეხები. 1920 წელს აჯანყდნენ სამხრეთ-ოსეთის მშრომელი მასები. გაფიცვები მოედო ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების მუშათა ძირითად მასას.

ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა მენშევიკური მთავრობა საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს...

ნოე ჟორდანია შემდეგნაირად ცდილობდა გაემართლებინა გამცემლური, სისხლისმღვრელი ბრძოლა მშრომელთა მასების რევოლუციურ გამოსვლათა წინააღმდეგ.

„თუმცა თქვენ არ უნდა გაგკვირვებოდათ გლეხთა აჯანყებანი ჩვენს წინააღმდეგ,—ამბობდა ჟორდანია,—მაგრამ ჩვენ იმდენად დავივიწყეთ მარქსიზმი და ავყევით ესეროვ დომხალს, რომ დღემდე ბევრი ჩვენგანი ამ აჯანყებულებს რევოლუციონერებად სთვლის და უხალისოდ თანხმდება მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზე. დროა დავუბრუნდეთ მარქსს და მტკიცედ ვიდგეთ რევოლუციის სადარაჯოზე გლეხური რეაქციის წინააღმდეგ“.

(ნ. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე“. გვ. 119).

აფარებოდნენ რა მაღალ ფრაზებს, ახდენდნენ რა მარქსიზმის ფალსიფიკაციას, მენშევიკები ინტერვენტულ — თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის დროშის ქვეშ უსწორდებოდნენ რევოლუციურ მუშებსა და გლეხებს.

„ახლა ღამეა. ყველგან ცეცხლი მოჩანს,—სწერდა თავის დღიურში მენშევიკი დამსჯელი ვ. ჯუღელი, „სახალხო“ გვარდიის ყოფილი უფროსი, როცა იგი გლეხთა აჯანყებების ჩაქრობას ხელმძღვანელობდა,—ეს აჯანყებულთა სახლები იწვის, ყველგან ჩვენს გარშემო იწვის ოსთა სოფლები... მე დამშვიდებული გულით და წმინდა სინიდისით ვუყურებ ცეცხლის ფერფლსა და ბოლს“.

(ჯუღელი. „მძიმე ჯვარი“).

ასეთი იყო მენშევიკთა „ნაციონალური პოლიტიკა“.

მენშევიკური ბატონობის პერიოდში საქართველოში ჩამოდიოდნენ კ. კაუცკი, მაკდონალდი, სნოუდენი, ვანდერველდე და მეორე ინტერნაციონალის სხვა ბელადები. მენშევიზმის თარეშსა და გახრწნას, მის მოღალატეობას იმპერიალიზმის სასარგებლოდ, მშრომელთა მასების ჩაგვრას ისინი თვალთმაქცურად „სოციალისტურ სამოთხეს“ უწოდებდნენ. მაგრამ მეორე ინტერნაციონალის ბელადთა ამ მყვირალა ფრაზებს არ შეეძლოთ დაემალათ საქართველოს და საერთაშორისო მენშევიზმის სამარცხვინო დაცემა და გაკოტრება საქართველოს გამოცდილების მიხედვით.

ქართველი მენშევიკები—ქართველი ხალხის ყველაზე გათახსირებული მოღალატენი და გამცემლებია. მათ მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს და დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთად ამიერ-კავკასია გადააქციეს უცხოელთა ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მენშევიკები ასულდგმულებდნენ და რაზმავდნენ აზნაურების, თავადების, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის რეაქციულ ძალებს საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მენშევიკები ატარებდნენ მხეცურ ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას და ამიერ-კავკასიის ხალხებს ერთმანეთს უსისინებდნენ. მათ მოაწყვეს სისხლისმღვრელი ლაშქრობა საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ: ოსების, აფხაზების, სომხებისა და აჭარლების წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკები მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად იყვნენ რევოლუციურ ჯარისკაცთა შამქორის ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორები. მათ მოღალატურად დახვრიტეს ტფილისის მუშათა მიტინგი ალექსანდროვის ბაღში. მათ დაშნაკებთან ერთად მოაწყვეს ქართველ-სომეხთა სისხლისმღვრელი ძმათა ომი.

მენშევიკ გამცემელთადმი უდიდესი სიძულვილით არის აღსავსე საქართველოს მშრომელთა გული.

დღეს მენშევიკთა უბადრუკი ნაშთების ხვედრი ის არის, რომ იწანწალონ ემიგრაციაში, დასავლეთის იმპერიალისტთა აგენტების [illegible], დერეფნებში და უკანა კარებთან.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა რუსეთის პროლეტარიატის და მუშურ-გლეხური წითელი არმიის დახმარებით დაამხო მენშევიკთა ბატონობა, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება და **ლენინ-სტალინის** დროშით დაადგა ფართო გზას სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისაკენ.

III

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და ნაციონალურ - კულტურულ მშენებლობის საქმეში. ეს წარმატებანი წარმოადგენენ ბოლშევიკების პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა საქართველოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სწრაფი ზრდა.

რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონიიდან, „რუსეთზე კიდევ უფრო მეტად გლეხური ქვეყნიდან“ (**ლენინი**), საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ - აგრარულ რესპუბლიკად.

მაშინ, როცა მრეწველობის დაბანდებანი პირველი ხუთწლედის მანძილზე საერთოდ საბჭოთა კავშირში, მთელი აღდგენითი პერიოდის დაბანდებებთან შედარებით, 506 პროცენტს შეადგენდა, საქართველოში იგი უდრიდა 934 პროცენტს. კაპიტალდაბანდებათა მატება 1934 წელს მთელ საბჭოთა კავშირში უდრიდა 19,4 პროცენტს, საქართველოში—32 პროცენტს. 1936

(დასასრული—მე-3 გვ.)

ამხ. ლავრენტი ბერიას წერილის დასასრული

წელს საბჭოთა კავშირში მრეწველობის კაპიტალდაბანდებათა მატება შეადგენდა 17,7 პროცენტს, ხოლო საქართველოში—34,8 პროცენტს.

მაშინ, როცა ელექტროენერგიის გამომუშავებამ 1935 წელს 1913 წელთან შედარებით მთელს საბჭოთა კავშირში იმატა 1331 პროცენტით, საქართველოში ამავე დროს იმატა 2.259 პროცენტით.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1935 წელს 1913 წელთან შედარებით შეადგენდა 642 პროცენტს, საქართველოში იგი უდრიდა 1.908 პროცენტს. საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ 1935 წელს იმატა 473 მილიონ მანეთამდე, ხოლო 1936 წელს იგი მიაღწევს 600 მილიონ მანეთს.

პირველი ხუთწლედის მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდებანი შეადგენდა 700 მილიონ მანეთს, ხოლო მარტო 1935 წელს დაბანდებულ იქნა 401 მილიონი მანეთი. 1936 წლის გეგმა ითვალისწინებს 616 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდებას სახალხო მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები. მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში გადიდდა 74,9 პროცენტამდე.

საქართველოს სამრეწველო - სამეურნეო გაფართოებისათვის იქმნება მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. საქართველოს ელექტროსადგურთა სიმძლავრემ 1935 წლის დასასრულისათვის მიაღწია 105 ათას კილოვატს, ხოლო 1936 წელს იგი ავა 162 ათას კილოვატამდე, 1913 წლის 8 ათასი კილოვატის ნაცვლად.

საქართველოს მთის სწრაფ მდინარეთა მდიდარი ჰიდრო-ენერგეტიკული რესურსები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა ასე ფართოდ გამოყენებული.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა ტექნიკურად რეკონსტრუირებულია. საბჭოთა ხელისუფლებამ მარგანეცის მრეწველობაში უკვე დააბანდა 45 მილიონი მანეთი, ხოლო 1936 წელს დაბანდდება კიდევ 17 მილიონი მანეთი. შარშან ამოღებულ იქნა 1.180 ათასი ტონა მარგანეცი.

ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე ქ. ყვირილაში (ზესტაფონი) აგებულია დიდი ფერომარგანეცის ქარხანა.

ტყიბულის ქვანახშირის ძველი მაღაროები რეკონსტრუირებულია. საბჭოთა ხელისუფლებამ ააგო ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები.

ბათომში აგებულ იქნა დიდი ნავთსახდელი ქარხნები, რომლებიც გადაამუშავებენ 3 მილიონ ტონა ნედლ ნავთს წელიწადში. დიდი მუშაობა სწარმოებს ნავთის საბადოების გამოსაკვლევად საქართველოს შირაქის ველებზე.

საბჭოთა საქართველოს წიაღი მდიდარია მრავალი სხვადასხვაგვარი ნედლეულით. შექმნილია და ფართოდ ვითარდება სამთამადნო მრეწველობა. საქართველოს წიაღთა სიმდიდრე დაყენებულია სოციალისტური მშენებლობის სამსახურად. მოწყობილია გუმბრინის დამუშავება ნავთის მრეწველობის მოსამარაგებლად. სწარმოებს ბარიტის, ანდეზიტის, ლითოგრაფიული ქვის, დიატომიტის, მარმარილოს დამუშავება. 1935—36 წ. შეუდგნენ დარიშხანის, მოლიბდენის სამრეწველო დამუშავებას. 1936 წელს იწყება აზოტ-ტუკის დიდი კომბინატის მშენებლობა ქუთაისში. შექმნილია მძლავრი მსუბუქი და კვების მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1923—1924 წლის 2.155 ათასი მანეთიდან ავიდა 87.557 ათას მანეთამდე 1935 წელს, ანუ გადიდდა 40-ჯერ.

კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1928 წლის 9 მილიონი მანეთიდან გადიდდა 71 მილიონ მანეთამდე 1935 წელს. ამასთან მთელი მრეწველობის 90 პროცენტი მზადდება უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებულ ქარხნებსა და ფაბრიკებში.

საქართველოს სატყეო და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში პირველი ხუთწლედის მანძილზე დაბანდებულ იქნა 23 მილიონი მანეთი, ხოლო მეორე ხუთწლედის მარტო 3 წლის განმავლობაში დაბანდდა 41 მილიონი მანეთი. ზუგდიდში შენდება ენგურის ქაღალდის მძლავრი კომბინატი, რომლის წლიური ნაყოფიერება იქნება 24 ათასი ტონა კულტურული ხარისხის ქაღალდი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის მანძილზე საქართველოში აგებული და მთლიანად რეკონსტრუირებულია 117 სულ სხვადასხვა სამრეწველო საწარმო, რომელთა ხვედრითი წონა საქართველოს მრეწველობის ძირითად ფონდებში შეადგენს 86,7 პროცენტს.

ვითარდება საქართველოს სარკინიგზო, წყლისა, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი: აგებულია 200 კილომეტრი ახალი სარკინიგზო ხაზი, ელექტროფიცირებულია 183 კილომეტრი სარკინიგზო მაგისტრალი. შავი ზღვის ნაპირზე — ოჩამჩირეში შენდება ახალი ნავსადგური. გაყვანილია 4.462 კილომეტრი გზატკეცილი და გაუმჯობესებული გზები. 2.590 კილომეტრზე გახსნილი 50 საავტომობილო ხაზი, რომლებიც რაიონულ ცენტრებს აერთებენ რკინიგზების სადგურებთან და ერთმანეთთან და აკავშირებენ ცალკეულ [illegible] პუნქტებს. 1935 წელს 8 საჰაერო ხაზით დაფრინავდნენ საბჭოთა საჰაერო ფლოტის თვითმფრინავები.

საქართველოს მთელ ამ დიდ სამრეწველო მშენებლობაში განსახიერდა ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიალიზაციისა და მოწინავე რესპუბლიკების დონემდე მათი აყვანის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა.

გაზრდილი მუშათა კლასი, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, ეუფლება შექმნილი მრეწველობის მოწინავე ტექნიკას, სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობისა და მუშაობის სტახანოვური მეთოდთა გამოყენების საფუძველზე აღიდებს შრომის ნაყოფიერებას და წარმატებით მთლიანად და ვადამდე ასრულებს პარტიისა და მთავრობის დავალებას.

უდიდესია აგრეთვე საბჭოთა საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში.

ლენინისა და ამხანაგ სტალინის პირდაპირი მითითებებით ფართოდ განვითარდა საირიგაციო სამუშაოები. საბჭოთა ხელისუფლებამ მორწყა ას ათასზე მეტი ჰექტარი.

საუკუნეობით ხელუხლებელი იყვნენ კოლხიდის დაბლობის ჭაობიანი მიწები და ავრცელებდნენ მალარიას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოჰკიდა ხელი კოლხიდის ჭაობთა ამოშრობას. კოლხიდის ამოშრობის სამუშაოებში უკვე დაბანდებულია 45 მილიონი მანეთი, უკვე ამოშრობილია 16.837 ჰექტარი, რომელსაც ნაწილობრივ ვიყენებთ ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების გასაშენებლად.

ნათესთა საერთო ფართობი საქართველოში 15 წლის მანძილზე გადიდდა 738 ათასი ჰექტარიდან 957 ათას ჰექტარამდე.

საქართველოს ბოლშევიკები უდიდეს მუშაობას ეწევიან ძვირფასი ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში. ჩაის პლანტაციების მთელი ფართობი რევოლუციამდე შეადგენდა 894 ჰექტარს. საქართველოს ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისათვის ჩაის მხრივ და ჩაის პლანტაციათა ფართობი 1935 წელს აიყვანეს 34 ათას ჰექტარამდე. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა გაორკეცდა. 1935 წელს მოკრეფილ იქნა 12,5 მილიონ კილოგრამზე მეტი მწვანე ჩაის ფოთოლი. საქართველოს ჩაის მრეწველობა უკვე ახლა უშვებს ისეთ ჩაის, რომელიც თავისი ხარისხით ცეილონისას არ ჩამოუვარდება.

რევოლუციამდე ციტრუსოვან კულტურათა ფართობი 100 ჰექტარს არ აღემატებოდა. 1935 წლისათვის იგი უკვე აყვანილ იქნა 3.280 ჰექტ. შარშან საბჭოთა საქართველომ საბჭოთა ქვეყანას მისცა დაახლოვებით 200 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ციტრუსოვან კულტურათა ფართობი საქართველოში 1940 წლისათვის უნდა ავიდეს 20 ათას ჰექტარამდე. საქართველოს ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა ამ ამოცანის შესასრულებლად, ეჭვი არ არის, წარმატებით შეასრულებენ მას. **და ციტრუსოვან ნაყოფს საბჭოთა საქართველო უკვე მილიონობით კი არა, არამედ მილიარდ ცალობით მისცემს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს!**

საქართველოში სამრეწველო მასშტაბით ვითარდება ისეთი ძვირფასი კულტურები, როგორიცაა ტუნგი, ევკალიპტი, ეთეროვანი კულტურები, რამი და სხვ. მხოლოდ უკანასკნელ ორ წელს დარგულია დაახლოვებით ერთი მილიონი ევკალიპტი, ხოლო 1940 წლამდე დარგული იქნება სულ ცოტა —10 მილიონი ხე მაინც.

საქართველო იძლევა ყველაზე მაღალი ხარისხის საექსპორტო თამბაქოს—„ტრაპიზონს" და „სამსუნს". 1935 წელს თამბაქოს პლანტაციებს ეკავათ დაახლოვებით 20 ათასი ჰექტარი, რომლებზედაც აღებულია და მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებს მაღალი ხარისხის პაპიროსების დასამზადებლად მიეცა და საექსპორტოდ ჩაბარებულია საქართველოს და აფხაზეთის 15.875 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს ვენახი. მენშევიკთა ბატონობის დროს ვენახის მოვლა-მოშენება დაეცა. ფილოქსერამ ათასობით ჰექტარი მოსპო. უკანასკნელ წლებში ვენახის ფართობის შემცირება შეჩერდა და დაიწყო მისი ზრდა. 1932—1935 წლებში გაშენდა 4 ათასამდე ჰექტარი ახალი ვენახი, გაშენდა ამერიკული ვაზის 690 ჰექტარი სადედე. ვენახის საერთო ფართობი ამჟამად 39 ათას ჰექტარს აღემატება. საქართველოს მევენახეობა ჩვენს ქვეყანას აძლევს საუკეთესო მაღალი ხარისხის ღვინოს.

მარტო უკანასკნელ წლებში გაშენდა 12 ათასი ჰექტარი ახალი ბაღი. ბაღების საერთო ფართობი 50 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. 1935 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 21 ათას ტონაზე მეტი სხვადასხვა ხილი.

საქართველოს მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მეაბრეშუმეობა. ახლა საქართველოს მეაბრეშუმეობა სწრაფი აღმავლობის გზას დაადგა. 1935 წელს საქართველოს მეაბრეშუმეებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მათ მოგვცეს 2.552 ტონა მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი.

ასრულებენ რა პარტიის მითითებებს, საქართველოს ბოლშევიკებმა 1934—1935 წლებში მიაღწიეს გარდატეხას მეცხოველეობის განვითარებაში. იგი სწრაფად მიდის აღმავლობის გზით. 1935 წელს გადაჭარბებით შესრულდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ზრდის გეგმები.

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინერგება მოწინავე აგროტექნიკა. ხდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

საქართველოს რაიონებში შექმნილია 37 სამანქანო-სატრაქტორო სადგური. სოციალისტურ მინდვრებში მუშაობს 1.710 ტრაქტორი და ათი ათასობით სხვადასხვაგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

საქართველოში შექმნილია 254 საბჭოთა მეურნეობა, აქედან 117 მსხვილი საბჭოთა მეურნეობაა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში (საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და სხვ.) 26 ათასი მუდმივი სასოფლო-სამეურნეო მუშა მუშაობს.

საბჭოთა საქართველოში სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ჩატარებული უდიდესი მუშაობა წარმოადგენს ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განსახიერებას.

რევოლუციამდე საქართველოში მიწის მწვავე ნაკლებობა იყო. ათი ათასობით გლეხები ვერ პოულობდნენ თავისი შრომის გამოყენებას და შიმშილის შიშით მიდიოდნენ საზღვარგარეთ შორს საქართველოს ფარგლებიდან. ახლა მრეწველობის ზრდისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად, მას შემდეგ რაც სოფლის მეურნეობაში ძვირფასი ტექნიკური კულტურები დაინერგა, უკვე საგრძნობია მუშა - ხელის ნაკლებობა, ხოლო ინტენსიურმა სოფლის მეურნეობამ ყოველგვარი პირობა შექმნა კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრებისათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარებასა და აღმავლობაში ყველა ამ წარმატებას საქართველოს ბოლშევიკებმა მიაღწიეს საკოლმეურნეო წყობილების შექმნითა და განმტკიცებით. 1936 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 70 პროცენტი. სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე იზრდებიან და მტკიცდებიან კოლმეურნეობანი. წლითი-წლობით მატულობს მათი შემოსავალი, იზრდება შრომადღის ღირებულება. საქართველოში უკვე არის მთელი რიგი კოლმეურნეობანი, რომელთა შემოსავალი მილიონ მანეთს აღემატება. ესენი მილიონერი —კოლმეურნეობანი არიან.

ამ კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება 15—20 მანეთამდე ავიდა. ერთი საკოლმეურნეო მეურნეობის საშუალო შემოსავალი წელიწადში 8 - 12—15 ათას მანეთს აღწევს, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებულ შემოსავალთან ერთად 1935 წლისათვის უკვე ასობით კოლმეურნემ მიიღო 20—25—30 ათასი მანეთის შემოსავალი და აქედან ცალკეულებმა — 40 ათას მანეთამდე.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მაძღრისად, შეძლებულად და მხიარულად ცხოვრობს. ხალისით ამუშავებენ კოლმეურნეები ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ვენახისა და სხვა პლანტაციებს.

იზრდებიან საქართველოს ქალაქები და ხდება მათი კეთილმოწყობა. ტფილისის კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში მარტო ორი უკანასკნელი წლის — 1934—1935 წლების მანძილზე დაბანდებულია 93 მილიონი მანეთი, ხოლო 1936 წელს დაბანდებულ იქნება 66 მილიონი მანეთი. სწარმოებს სამრეწველო ქალაქებად გადაქცეული ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის კეთილმოწყობა.

ხდება ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების დედაქალაქთა კეთილმოწყობა: ბათომისა—აჭარაში, სოხუმისა—აფხაზეთში, სტალინირისა — სამხრეთ - ოსეთში. საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი სამრეწველო ცენტრი, სადაც არ სწარმოებდეს მათი კეთილმოწყობის სამუშაოები!

საქართველო საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის კერას წარმოადგენს. შავი ზღვის ნაპირზე და საქართველოს მთებში მდებარეობენ მშვენიერი კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, გულრიფში, გაგრა, ქობულეთი, ბაკურიანი, ახტალა, ჯავა, ბახმარო, შოვი, მახინჯაური, მწვანე კონცხი. აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ათასობით მოდიან ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მშრომელები თავიანთი ჯანმრთელობის აღსადგენად.

დიდი მუშაობა შესრულდა კურორტთა რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. ამჟამად ახლად აშენდა მთელი საბჭოთა კავშირისათვის ცნობილი კურორტი წყალტუბო. 1936 წელს დაიწყება ახალი კურორტის —მენჯის მშენებლობა. ამ კურორტის წყლები თავისი თვისებით არ ჩამოუვარდებიან მაცესტისა და კისლოვოდსკის წყლებს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სულ საქართველოს საკურორტო მშენებლობაში დაბანდებულია—70 მილიონ მანეთზე მეტი.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო საქართველოს ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს საბჭოთა საქართველო შეხვდება როგორც წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა, —შემოღებულია ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება. საქართველოს დაწყებითსა და საშუალო სკოლებში ამჟამად 614 ათასი მოწაფე სწავლობს. დაწყებითსა და საშუალო სკოლებში 19 ათასი პედაგოგი მუშაობს.

ცარიზმის დროს საქართველოში არც ერთი უმაღლესი სკოლა არ ყოფილა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილია 19 უმაღლესი სასწავლებელი. თითქმის ყველა ამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე სწარმოებს.

საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მუშათა და გლეხთა წრიდან უკვე გამოუშვეს 14 ათასი ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, პედაგოგი, ეკონომისტი და სოციალისტური მშენებლობის სხვა კვალიფიციური მუშაკები.

საქართველოს სკოლებსა და სასწავლებლებში განათლებას დედაენაზე ღებულობენ. ამავე დროს საქართველოს სკოლებში რუსულ ენასაც სწავლობენ.

საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდად განვითარდა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა. მოეწყო 120 სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება. ბევრი ინსტიტუტის ნაშრომები სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენენ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ჰყვავის ხელოვნება და ლიტერატურა. რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრებმა მოგვცეს მთელი რიგი მაღალხარისხოვანი დადგმანი, რომელთა მეოხებითაც ისინი საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრთა რიგებში ჩადგნენ. ამჟამად საქართველოში მუშაობს 47 თეატრი, მათგან სამი მეოთხედი—ქართულ ენაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მისცა კინომრეწველობა. ტფილისში აგებულია კინოფაბრიკა. საქართველოს სახკინმრეწვმა გამოუშვა 80 საბჭოთა კინოფილმი.

ფართოდ ვითარდება ფიზიკური კულტურა. 1936 წლის 1 იანვრისათვის 110 ათასმა ფიზკულტურელმა ჩააბარა ნორმები ნიშნისა „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის". საქართველოს ფიზკულტურელებმა დაამყარეს მთელი რიგი საკავშირო რეკორდები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის მანძილზე საქართველოში გამოიცა 35 მილიონზე მეტი წიგნი.

ასეულ-ათას ეგზემპლარობით გამოიცა ქართულ ენაზე მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაწარმოებები.

იზრდებიან საბჭოთა საქართველოს მწერლები და პოეტები. თავის ნაწარმოებებში ისინი ასახავენ სოციალისტური მშენებლობის პრობლემებსა და გმირობას. იზრდებიან საბჭოთა მხატვრების, არქიტექტორების, მოქანდაკეების კადრები, რომელნიც ამდიდრებენ საბჭოთა კულტურას სახვითი ხელოვნების ახალი ნაწარმოებებით.

ინტელიგენციის ძველმა კადრებმა მტკიცედ დაუკავშირეს თავისი ბედ-იღბალი საქართველოს მშრომელ მასებს. მათთან ერთად ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ისინი შემჭიდროვდნენ საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, კომუნისტური პარტიის ირგვლივ.

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის მანძილზე საქართველოში გამოიზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის ახალი, მტკიცე კადრები მუშებიდან და გლეხებიდან. ეს კადრები შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ. ისინი უსაზღვროდ ერთგულნი არიან მისი.

მეფის თვითმპყრობელობა, იწვევდა რა არმიაში საქართველოს მშრომელთა შვილებს, ჰგზავნიდა იმპერიის შორეულ რაიონებში, ვინაიდან ეშინოდა, რომ შეიარაღებულნი დაეტოვებინა თავის სამშობლოში. ამჟამად **საბჭოთა საქართველოს ჰყავს თავისი ნაციონალური დივიზიები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოების დიადი ქვეყნის მძლავრი და მამაცი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთგულ მებრძოლ ნაწილებს.**

ყოველივე ამაში განსახიერებულია ლენინ - სტალინის ნაციონალური პოლიტიკა, რომლის დროშით საქართველოს მშრომელი მასები განთავისუფლდნენ ცარიზმისა და მენშევიკ-მმართველთა ჩაგვრისაგან, და მტკიცედ მიდიან ბედნიერი და სახიხარულო ცხოვრების გზაზე.

IV

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ხალხთა მტკიცე მშვიდობიანობასა და მეგობრობას. ნაცვლად ყოფილი ნაციონალური მტრობისა, რომელსაც ცარიზმი და მენშევიკები საქართველოს ყველა ეროვნებებს შორის აღვივებდნენ, ჰყვავის მეგობრობა და თანამშრომლობა.

იზრდებიან და მტკიცდებიან საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები: საბჭოთა აჭარა, საბჭოთა აფხაზეთი, საბჭოთა სამხრეთ-ოსეთი.

დიდია საქართველოს ხალხთა მშრომელების მეგობრობა ერთმანეთთან, დიდია საქართველოს ხალხთა მშრომელების მეგობრობა აზერბაიჯანისა და სომხეთის ხალხებთან.

საბჭოთა ამიერ - კავკასიის ხალხთა ამ მეგობრობაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხ. მოლოტოვმა სთქვა:

„ჩვენ ვიამაყოთ იმით, რომ მრავალეროვან ამიერ-კავკასიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის, ბრძოლა, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ კაპიტალისტები და მეფის მსახურნი, რომ ახლა ეს ბრძოლა საბოლოოდ აღმოფხვრილია და ამ ბრძოლის მაგივრად მეფობს ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელის ძმური ცხოვრება".

(ამხ. მოლოტოვის სიტყვიდან საბჭოთა სომხეთის მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს. „პრავდა", 6 იანვარი, 1936 წ.).

ამ წარმატებათა მიღწევაში დიდი როლი ეკუთვნის დიდი **სტალინის** თანამებრძოლს ამხ. ორჯონიკიძეს, რომლის ხელმძღვანელობით საქართველოს და ამიერ - კავკასიის ბოლშევიკები განამტკიცებდნენ და აწყობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ანადგურებდნენ მენშევიკებსა და ნაციონალ-უკლონისტებს, ზრდიდნენ მშრომელთა ფართო მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ნაციონალ-უკლონისტები ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გადაეცდინათ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია სწორი გზიდან. ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოს ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის რიგებში წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც ასახავდა კულაკურ-ბურჟუაზიულ — ნაციონალისტური და მენშევიკური ელემენტების ზეგავლენას პარტიულ ორგანიზაციათა ცალკეულ ფენებზე. ნაციონალ - უკლონიზმი, დაადგა რა პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, დაეშვა ქართული მენშევიზმის პოზიციებზე. ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა შენიღბულ ჟორდანიზმს, რომელიც ასახავდა ქართველი მენშევიკებისა და ნაციონალ-დემოკრატების დიდმპყრობელურ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ნაციონალ-უკლონიზმი ასახავდა ქართველი თავადაზნაურების, მემამულეებისა და კულაკების ინტერესებსა და მოთხოვნებს.

მხოლოდ ნაციონალ - უკლონიზმის ულმობელი განადგურებით, საქართველოში სოციალისტური მშენებლობის საქმის ხელმძღვანელობითა და მასების ინტერნაციონალური აღზრდით უზრუნველყო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება.

სოციალისტური მშენებლობის ამ გამარჯვებებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში განმტკიცდა საქართველოს ბოლშევიკური პარტია და კიდევ უფრო ძლიერად შემჭიდროვდა იგი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და ამხანაგ **სტალინის** ირგვლივ.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით, ბოლშევიკთა პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს მშრომელები მტკიცედ წავლენ წინ, სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

ახალგაზრდა სტალინი

საქართველოს გლეხობის რევოლუციური ბრძოლა 1905 წელს. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტგამომცემლობა. 1935 წ. გვ. 60 დიდი ბელადი და მასწავლებელი. ძველი მუშების ნაამბობი ამხანაგ სტალინის მუშაობის შესახებ ამიერკავკასიაში საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა" 1936 წ. გვ. 30.

ამხანაგი სტალინი

გურიის გლეხთა 1902—1906 წლების მოძრაობა ისტორიული სახელით არის მონათლული. იგი ლეგენდარულად გვეჩვენება.

ოთხი წლის განმავლობაში მეფის მთავრობა უძლური იყო მცირე ოლქის წინაშე, რომელშიაც გლეხებმა ფაქტიურად დაამყარეს ძალა-უფლება. პოლიცია და მოხელეები გადაყენებული იყვნენ. მემამულეები გაქცეული ან დამორჩილებული იყვნენ. გლეხთა რევოლუციური კომიტეტები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ისინი ეწეოდნენ მართვა-გამგეობას და მოსამართლეობას, მათ უყოყმანოდ ემორჩილებოდნენ.

გურიის გლეხთა მოძრაობა მტკიცე პროლეტარული ხელმძღვანელობის შედეგი იყო. მოძრაობის სათავეში, მეთაურთა პოსტებზე იდგნენ მუშები, რომლებმაც ბოლშევიკური სკოლა ჰქონდათ გავლილი. აქ შემოწმდა საქმით და ბრწყინვალედ გამართლდა რევოლუციის ლენინური სტრატეგია. იქ, სადაც ბოლშევიკებმა მებრძოლი ორგანიზაციები შექმნეს და თან გაიყოლიეს მუშათა კლასი, იქ გლეხებიც გაჰყვნენ მუშებს. სწორედ ამან უზრუნველყო გურიის გლეხთა მოძრაობისათვის ასეთი ურყევი ძალა. იგი დამარცხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეფის მთავრობამ ცენტრალურ რუსეთში გაიმარჯვა.

წიგნაკში „საქართველოს გლეხობის რევოლუციური ბრძოლა 1905 წელს" საქართველოს გმირული ისტორია ცოცხლად წარმოგვიდგება კავკასიიდან გამოგზავნილი კორესპონდენციების სახით, რომლებიც ბოლშევიკურ გაზეთებში—„ვპერიოდსა" და „პროლეტარში" დაიბეჭდა. ისინი მკითხველის წინაშე ხატავენ გლეხური მოძრაობისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის შესანიშნავ სურათს. ტყუილად კი არ მიუქცევია გურიის ამბებისათვის ასეთი ყურადღება პარტიის მესამე ყრილობას.

ბროშურაში არის ამხ. მიხა ცხაკაიას მიერ ყრილობაზე წაკითხული მოხსენება და ყრილობის რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს დახმარება გაუწიონ კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას.

იმ დროის დოკუმენტები, კონსპირაციულობის გამო, ანონიმურია. მათში არ არის სახელები. მათში არ არის დასახელებული ის, ვინც 1905 წლის რევოლუციის მოწინავე რაზმის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ამიერ-კავკასიაში, ის, ვინც მაშინ ყველაზე უფრო სრულად განასახიერა ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის ჰეგემონიისა და გლეხთა სტიქიური მოძრაობისადმი პროლეტარული ხელმძღვანელობის შესახებ.

ახლა ჩვენ ვიცით, თუ ვინ იყო რევოლუციის ბელადი კავკასიაში. ეს იყო ახალგაზრდა სტალინი. მაშინ, მისი სახელი მოუხსენიებლად ლაპარაკობენ ბოლშევიკურ გაზეთებში მოთავსებული კორესპონდენციები. მისი ფიგურა მოუძღვის პროლეტართა და გლეხთა რევოლუციურ მასებს.

მეორე ბროშურა—„დიდი ბელადი და მასწავლებელი"— [illegible] და ძველ მუშათა ნაამბობში გვიჩვენებს ახალგაზრდა სტალინს. იგი 22 წლისაა. მაგრამ მას უკვე იცნობენ ტფილისის და ბაქოს მუშები. ბათომში მას „მუშების მასწავლებელს" ეძახიან. 1901 წლის დამლევს იგი ბათომში მოაწყობს რ. ს. დ. მ. პ. ბათომის კომიტეტს, და უკვე 1902 წლის მარტში, ბათომის პროლეტარიატის მძლავრი დემონსტრაცია მთელი ქვეყნის ყურადღებას კავკასიისაკენ მიაპყრობს.

მეფის მთავრობა ხვრეტს მუშებს, ხოლო ბევრი მათგანი სოფლებში გადაასახლა. მათ თან მიაქვთ სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები. ამგვარად აქვეყნებს გურია კავშირს ბათომთან. ამ მომენტიდან იწყება გლეხთა ცნობილი მოძრაობა საქართველოში. სტალინი სდგას თვით მის სათავეში და საპყრობილეში ყოფნის დროსაც კი მის ხელმძღვანელად რჩება.

ძველი მუშები სიყვარულით გვიხატავენ მის პორტრეტს. ყველა იგონებს მის თვისებებს, რომლებიც სამუდამოდ შეიჭრა მათს მეხსიერებაში. ამ თვისებებიდან იქმნება სრული, რევოლუციური შარავანდედით მოსილი სახე.

მისი ეშინოდათ. იგი სძულდათ ანარქისტებსა და მენშევიკებს. იგი ამარცხებდა მათ მარქსის ბრწყინვალე ცოდნით. „იგი არასოდეს არ იშორებდა წიგნებს—მოგვითხრობს ამხ. ოქუაშვილი. თუ მას ხელში არ ჰქონდა წიგნი, უსათუოდ ჰქონდა უბეში, ქამარში, ჯიბეში".

იგი იყო პროპაგანდისტი, ორგანიზატორი, ხელმძღვანელი. იგი სწერდა პროკლამაციებს, აწყობდა არალეგალურ სტამბებს და, როცა საჭირო იყო, თვითონვე ატრიალებდა საბეჭდი მანქანის ბორბალს. იგი სწვდებოდა გაფიცვის ორგანიზაციის ყველა წვრილმანს და ანაწილებდა მუშებს პოსტებზე სტრეიკბრეხერებთან საბრძოლველად. „როცა მის სამუშაო დღეს ვაკვირდებოდი, მე გაკვირვებაში მოვყავდი მის ენერგიას, — მოგვითხრობს ძველი მუშა,—მე მგონია, იგი მხოლოდ ჩაის ან სადილის დროს ისვენებდა. დანარჩენ დროს, შუაღამემდე, მეცადინეობდა, კითხულობდა. ბევრს სწერდა და დანიშნულ დროს მიდიოდა წრეებში".

მისი უდიდესი ცხოველმყოფელი ენერგია ფრთებს ასხამდა მას გარშემო მყოფთ. „ერთ წუთსაც ვერ ნახავდით სტალინს დაღლილს. „მარსელიოზის" სიმღერას პირველად სტალინი იწყებდა, — იგონებს ამხ. [illegible], რომელიც მასთან ერთად ქუთაისის საპატიმროში იჯდა.

ახალგაზრდა სტალინის შესანიშნავი თვისება იყო სიზუსტე და გარკვეულობა მუშაობაში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამხ. სტალინს გამოეტოვებინა მეცადინეობა: „იგი მოდიოდა სწორედ დანიშნულ დროს და ზედმეტი სიტყვების დაუხარჯავად შეუდგებოდა საქმეს, დიდად აფასებდა როგორც თავის, ისე სხვების დროს". „იგი უაღრესად წესიერი იყო, თუ სადმე მიდიოდა, ყოველთვის დაიბარებდა როდის დაბრუნდებოდა".

ძველი იგონებენ მუშები ახალგაზრდა სტალინს. ისინი მოგვითხრობენ, თუ რა უდიდესი ყურადღებით ეპყრობოდა სტალინი გლეხებს. „იგი ხშირად ხვდებოდა გლეხებს და ესაუბრებოდა მათ, — იგონებს ამხ. ელისაბედაშვილი. საუბრის დროს სტალინმა იცოდა ისეთი საკითხების შეხება, რომლებიც ყველაზე მეტად აღელვებდნენ გლეხებს. იგი ისე გასაგებად და მიმზიდველად ლაპარაკობდა, რომ გლეხები სიხარულით მას კიდევ მოსვლას სთხოვდნენ მათთან".

გლეხთა საჭიროების ცოდნამ ცოცხალი შინაარსით აავსო ის პროკლამაციები, რომლებსაც სტალინი გლეხებისათვის სწერდა. სწორედ ამიტომ ჰქონდა ამ პროკლამაციებს ასეთი წარმატება. ატარებდნენ რა სტალინის ხელმძღვანელობით ლენინურ პოლიტიკას, კავკასიის ბოლშევიკებმა წარმატებით განდევნეს გურიიდან და სხვა ადგილებიდან მენშევიკები და ნაციონალისტები. წვრილბურჟუაზიული დემოკრატები ამაოდ ცდილობდნენ დაექვემდებარებინათ გლეხური მოძრაობა ნაციონალისტური გავლენისათვის. გურიის გლეხები თავიანთ ბრძოლას მთელი რუსეთის ხალხთა მასების რევოლუციურ მოძრაობასთან აკავშირებდნენ. გურიის გლეხთა დეპუტატები ამბობდნენ: „მთავრობა ხმებს ავრცელებს, თითქოს ჩვენი მოძრაობა ნაციონალურ ხასიათს ატარებდეს, თითქოს ჩვენ ცალკე მეფეს მოვითხოვდეთ. ეს ცილისწამებაა. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა ქვეყნის მშრომელ ხალხს".

ცხოველი ინტერესით ვკითხულობთ ახლა საქართველოს ისტორიის გმირულ ფურცლებს. მათ ახალგაზრდა სტალინის ბეჭედი აზის. ხალხთა ბელადი თავის პირველ ნაბიჯებშივე იცნობა. ლენინი, რომელსაც სტალინი ჯერ კიდევ არ ენახა, მიესალმება მას, როგორც „მშვენიერ კოლხიდელს" (იხ. ამხ. ბერიას წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". პარტგამომცემლობა, 1935 წ. გვ. 39).

მუშათა წრეები ამიერ-კავკასიაში, რომლებიც ახალგაზრდა სტალინმა მოაწყო და რომლებშიაც იგი აღმაფრთოვანებელი პროპაგანდისტი იყო, ბევრი მუშისათვის ბოლშევიკურ სკოლად გადაიქცნენ. მაგრამ თვით მისთვისაც ამიერ - კავკასია-რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი გადამწყვეტი კვანძი —ხალხთა წინამძღოლობის სკოლა იყო. აქ მეთაურობს რა მრავალ ერიანი პროლეტარიატის ბრძოლას, სტალინი ხდება რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ბელადი.

დ. ოსიპოვი.

„პრავდა", 26 თებერვალი.

მისალმებანი ორდენოსან საქართველოს

მისალმება შორეულ აღმოსავლეთიდან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას.
საქართველოს სსრ ცაკს—ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს.

საბჭოთა საქართველოს სახელოვანი იუბილეს დღეს, რომელმაც 15 წლის განმავლობაში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია უდიდეს წარმატებებს, რაც წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორის ულრესად მკვეთრ დამადასტურებელ საბუთს და ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიდი მეგობრობის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას,—გადმოგცემთ საქართველოს მშრომელებს შორეულ-აღმოსავლეთის მხარის მუშათა, კოლმეურნეთა, შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული წითელდროშოვანი არმიის, წყნარი-ოკეანის ფლოტის და შორეულ-აღმოსავლეთის მხარის წითელდროშოვანი სასაზღვრო ჯარის მეომართა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ძმური სალამი.

ჩვენი მხარის მშრომლები უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ კაცობრიობის დიდი გენიის, მარქს-ენგელს-ლენინის საქმის სახელოვანი განმგრძობის — **იოსებ ბესარიონისძე სტალინის** სამშობლოს—საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავს.

ქართველი ბოლშევიკების ამიერუდი ბრძოლა, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, მარქს-ლენინის იდეათა გასამარჯვებლად ჩვენთვის წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ პარტიის ხაზისა და მისი ლენინურ-სტალინური ერთიანობისათვის.

საბჭოთა საქართველო იძლევა ცოცხალ ქართველი ხალხის სოციალისტურ საფუძველზე აღორძინებისა და სახალხო მეურნეობის მძაფრი აყვავების, ფორმით ნაციონალურის და შინაარსით სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების განვითარების მაგალითს.

გისურვებთ თქვენ ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობის შემდგომს განვითარებაში, სახელოვანი ორდენოსანი საქართველოს მუშების, კოლმეურნეების და ყველა მშრომელის კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომს, კიდევ უფრო მეტ ამაღლებას.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და მის ორდენოსან ხელმძღვანელებს!

გაუმარჯოს დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადსა და საყვარელ მეგობარს — ჩვენს ძვირფას და საყვარელ **სტალინს!**

პტუხა, კრუტოვი ბლიუხერი, დერიბასი, მალცევი.

კიევიდან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას.
საქართველოს სსრ ცაკს—ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს.

კიევის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი და უკრაინის კ. პ. (ბ) ოლქკომი კიევის ოლქის ყველა მშრომელის სახელით ძმურად მოგესალმებიან და გილოცავენ თქვენ და მთელ ქართველ მშრომელ ხალხს დიდ დღესასწაულს—საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავს. წარსულში რუსეთის ცარიზმის ჩაგრული კოლონია, საბჭოთა საქართველო ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ფედერაციაში განვლილი 15 წლის მანძილზე, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელებისა და დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით, იქცა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკად, სადაც ყვავის სიხარულით აღსავსე ბედნიერი, შეძლებული ცხოვრება. თქვენთან ერთად ვიხარით თქვენი წარმატებანი. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მუშები, კოლმეურნენი და ყველა მშრომელნი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით არა მარტო განამტკიცებენ თავის უდიდეს მიღწევებს, არამედ მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხებთან ერთად წაიწევენ შემდგომი უფრო გრანდიოზული გამარჯვებებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

დიდ გაიზარდოს და განმტკიცდეს სსრ დიდი მეგობრობა სსრ კავშირის ხალხებისა, რომელთაც ხელმძღვანელობენ ლენინური კომუნისტური პარტია და საყვარელი ბელადი **სტალინი!**

უკრაინის კ.პ. (ბ) კიევის ოლქკომის მდივანი
ნალიმოვი
საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **ვასილენკო.**

ჩვენი სალამი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. ლ. ბერიას.
საქართველოს სსრ ცაკს—ამხ. ფ. მახარაძეს.
საქ. სსრ სახკომსაბჭოს—ამხ. გ. მგალობლიშვილს.

ა.-ძ. სფსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს
ამხ. ს. გოგლიძეს.

საბჭოთა საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ, დიდი **სტალინის** ისტორიულ მითითებათა შესრულებით, თხუთმეტი წლის თავისათვის საქართველო გადააქციეს აყვავებულ, ბედნიერ მხარედ, საბჭოების ქვეყნის სანიმუშო რესპუბლიკად.

ყველა ჩეკისტის სახელით ვულოცავთ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებს, მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს თავადებისა, ვაჭრებისა და კონტრრევოლუციურ მენშევიკური ნაძირალების უღლისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლების თხუთმეტი წლისთავს და ვუსურვებთ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს პროლეტარული რევოლუციის დიად მონაპოვართა შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სალამი საბჭოთა საქართველოს სახელოვან პროლეტარებსა და კოლმეურნეებს, რომლებიც ამიერ-კავკასიისა და საქართველოს უშუალო ხელმძღვანელის **ლავრენტი** ბერიას ბრძნული ხელმძღვანელობით მიდიან გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს საბჭოების ლენინურ სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას!

გაუმარჯოს პროლეტარებსა და კოლმეურნეებს—ახალი, ბედნიერი საბჭოთა საქართველოს მშენებლებს!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ **სტალინს**—კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის ხალხთა ბელადს!

იაგოდა, აგრანოვი, პროკოფიევი

◇ ◇ ◇

იაპონიის ამბები

პრემიერი ოკადა დაჭრილია

ხმები ტაკახასის მოკვლის შესახებ

ლონდონი, 26 თებერვალი. როგორც რეიტერის სააგენტოს შანხაიდან ატყობინებენ, იაპონიის სამხედრო ორგანიზაციებმა ტოკიოში ხელთ იგდეს იაპონიის პრემიერის რეზიდენცია, აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტრო და საპოლიციო უბნები. ფიქრობენ, რომ მოკლულია რამდენიმე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის ფინანსთა მინისტრი ტაკახასი. ცენზურის პირობების გამო დაწვრილებითი ამბების მიღება შეუძლებელია.

შანხაი. 26 თებერვალი. პეკინში მყოფ უცხოეთის საელჩოთა ცნობებით, მთელს იაპონიაში გამოცხადებულია სამხედრო წესები. დაიხურა ბირჟა. შეწყდა სატელეფონო კავშირი შანხაისა და ტოკიოს შორის.

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. იუნაიტედ პრესის სააგენტო შანხაიდან იტყობინება, რომ, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, იქ ტოკიოდან მიღებულია კერძო დეპეშები, რომლებიც იუწყებიან, რომ პრემიერი ოკადა სერიოზულად არის დაჭრილი, ხოლო ფინანსთა მინისტრი ტაკახასი მოკლულია.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის შეწყვეტილია სატელეფონო, სატელეგრაფო და რადიო-კავშირი (ტასს).

უკანასკნელი ცნობები იაპონიის ამბების შესახებ

შანხაი, 26 თებერვალი. აქ მიღებული ცნობების თანახმად, ტოკიოში დაბანაკებული პირველი დივიზიის მესამე ლეგიონის 3 ათასი ჯარისკაცი ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფის ხელმძღვანელობით და კაპიტან ნონაკას მეთაურობით დღეს განთიადისას გამოვიდა მთავრობის წინააღმდეგ. ამ დღეებში ამ დივიზიამ მიიღო ბრძანება მანჯურიაში გადასვლის შესახებ. მაშინ დივიზიას მისცეს საბრძოლო ვაზნები.

გამოსულმა სამხედრო ნაწილმა ხელთ იგდო მინისტრთა კაბინეტის შენობა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, პრემიერ ოკადას რეზიდენცია, პოლიციის სამმართველო.

სახელმწიფოში გამოცხადდა სამხედრო წესები. აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა იმპერატორის პირადი დაცვის დივიზია.

ლონდონი. 26 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული ცნობების თანახმად, სამხედრო ჯგუფმა კაპიტან ნონაკას მეთაურობით მოკლეს პრემიერი ოკადა, ყოფილი პრემიერი საიტო და ფინანსთა მინისტრი ტაკახასი. მძიმედ დაჭრეს სამხედრო სასწავლებელთა გენერალური ინსპექტორი გენერალი ვატანაბე. თავს დაესხნენ გრაფ მაკინოს და ცერემონიმეისტერ გენერალ სუძუკის, მაგრამ ისინი გადარჩნენ. თავს დაესხნენ აგრეთვე თავადმა საიონძის და სასახლის მინისტრს იუასას.

როგორც სააგენტო გადმოგვცემს, გამოსულ სამხედრო ნაწილების მთავრობის დამცველები დაკავების დროს სუსტ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ შემდეგ დაიწყო შეტაკებანი, რომელთა შესახებაც ჯერჯერობით დაწვრილებითი ცნობები არ არის მიღებული.

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. სანოსნო კომპანიების წრეებში იუწყებიან, რომ ყველა გემი დაიკავეს იაპონიის ნავსადგურში. კობეში დააპატიმრეს უცხოელები (ტასს).

მოწინავე ადამიანთა დაჯილდოება

სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, შრომის სოციალისტური მეთოდების საფუძველზე მიღწეული ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებისათვის, ენერგიული, სანიმუშო მუშაობისათვის, რაც ყოველი მშრომელისათვის მაგალითი უნდა გახდეს საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტური სამშობლოს და ლენინ-სტალინის დიდი პარტიისადმი თავდადებული ერთგულებისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაჯილდოვებულ იქნან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის—

საპატიო სიგელით

1. ფოფხაძე ტ.—ქიათურის მარგანეცის მაღაროს მუშა.
2. ძიძიგური ს. ა.—მუშა-ქალი, ტფილისის ფაბრიკის „მეგობარი" № 2-ის ბრიგადირი.
3. ლორთქიფანიძე ა. ც.—[illegible] ოსტატი.
4. ზაზიდავა ნ. ი.—ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშა-ქალი.
5. ზაქომოლდინი ა. ა.—26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშა ხარატი.
6. ცაგარელი ძ. ს.—სტალინის სახელობის საწევ-სარემონტო ქარხნის შეკეთების ხაზის ოსტატი.
7. კიკვილაშვილი ზ. ი.—ბერიას სახელობის საწევ-სარემონტო ქარხნის მუშა [illegible].
8. ამხაზაშვილი ნ. ი.—ა.-კ. რკინიგზის ლიანდაგის მე-7 დისტანციის ბრიგადირი.
9. წერეთელი ძ.—ქიათურის მარგანეცის მაღაროს მუშა.
10. ჭუბლაშვილი ბ. ს.—ტყიბულის ქვანახშირის სტალინის სახელობის მაღაროს მუშა.
11. კისელიოვი ი. ი.—ტფილისის კ[illegible] სახელობის ქარხნის მუშა.
12. რაზმაძე ს. ა.—[illegible] 726 [illegible]
13. ძიტია ა.—[illegible] საბჭოთა მეურნეობის მუშა-მეჩაიე.
14. რუხაია ა. ა.—[illegible] „საბჭოთა საქართველოს" მუშა, ბრიგადირი.
15. კურტანიძე ვ. ვ.—[illegible] სოფ. [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
16. ხურაშვილი ვ. დ.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
17. თოდუა ა. ა.—ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
18. დარჩიაშვილი ვ.—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის [illegible]" ბრიგადირი.
19. ხარძეიშვილი ა.—[illegible] რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
20. შათირიშვილი ა. ნ.—ამხ. [illegible] სახელობის [illegible] საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.
21. მჭედლიძე ს. ა.—ალაზნის [illegible] საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.
22. გუდავაძე ვ. გ.—ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების სამთო ინჟინერი.
23. ძიძარია ძ. შ.—[illegible] საშუალო სკოლის დირექტორი.
24. ბიორბაძე მ. გ.—ქალ. ტფილისის [illegible] რაიონის [illegible] სკოლის მასწავლებელი.
25. წულუკიძე ა. გ.—ქუთაისის პირველი სანიმუშო საშუალო სკოლის მასწავლებელი.
26. შიშინაძე ა. გ.—ზუგდიდის რაიონის სოფ. ოქტომბრის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
27. ბექანოვი ს. დ.—სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ჯავის რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
28. [illegible] ა.—[illegible] რაიონის სოფ. შრომის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
29. ციხელაძე ა. ტ.—სამტრედიის რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
30. აშბა—აფხაზეთის ავტ. სსრ-ის სოფ. ჯგერდის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
31. რუხაძე ნ.—სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი.
32. ზანავა ა. ვ.—[illegible] ტექნიკუმის მასწავლებელი.
33. როძევიჩი ე. ვ.—ქუთაისის საავადმყოფოს ქირურგი.
34. მაჭავარია ვ. ტ.—ბათომის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგი—დირექტორი.
35. ჯვარშეიშვილი—ექიმი—ქუთაისის რაიონის მუხიანის სამკურნალო პუნქტის გამგე.
36. ჟორჟიკია ბ. ი.—ექიმი—აბაშის პოლიკლინიკის გამგე.
37. ზუბაბიძე—ექიმი-ტერაპევტი [illegible] გამგე ტყვარჩელში.
38. ციტოვიძე ი.—ქუთაისის რაიონის [illegible] სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
39. ლეკვეიშვილი ი.—ქუთაისის რაიონის [illegible] სას. საბჭოს თავმჯდომარე.
40. ეგნატაშვილი ა. ს.—ცენტრალური [illegible] სკოლის უფროსი.
41. ლომინაძე ვ.—ქუთაისის რაიონის [illegible] სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
42. ჩიკვაიძე ბ. ბ.—ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს [illegible] კომიტეტის თავმჯდომარე.
43. შერქვილაძე ბ. ნ.—საქართველოს განსახკომის ფიზკულტურის ინსპექტორი.
44. მეიფარიანი—[illegible] ფიზკულტურის ინსტრუქტორი.
45. მეხიშვილი დ. ს.—მე-7 ქართული ლეგიონის მეთაური.
46. მერულაშვილი ვ. ა.—საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე.
47. მიქაბერიძე მ. ბ.—უფროსი ლეიტენანტი, ესკადრონის მეთაური.
48. მეტრეველი ბ. დ.—მე-7 მსროლელთა ქართული ლეგიონის უმცროსი მეთაური.
49. ავაკიმოვი ზ. მ.—ცხენოსანთა საარტ. ლეგიონის კურსანტი სტახანოველი.

ძვირფასი საჩუქრებით

1. ხოზუა ს. მ.—ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მუშა-ქალი.
2. მამალაძე რ. ა.—ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-ბრიგადირი.
3. ფალავა მ. ს.—ბათომის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მუშა, „ფოსტერის" სისტემის ატმოსფერულ-ვაკუუმის „ტრუბოტაქტის" ოპერატორი.
4. ბანდალოვი ი. შ.—საკავშირო ნავთობსადენების ბათომის გამტუმბავი სადგურის მუშა-სტახანოველი.
5. კაპანაძე დ. მ.—ქიათურის მარგანეცის მაღაროების კომბინირებული [illegible] მუშა.
6. რუხაძე ს. პ.—ქიათურის მარგანეცის მაღაროების ზეინკალი.
7. ზვიადაძე ზ. ნ.—[illegible] მუშა.
8. ჯანელიძე ა. ა.—ქუთაისის [illegible] მუშა.
9. ბახტაძე ძ. ნ.—ფოთის ნავსადგურის გემების სარემონტო სახელოსნოს მუშა-მჭედელი.
10. ბერიძე მ. ს.—ბათომის ნავსადგურის ტვირთავი მუშა.
11. ჩადუნელი ა. ზ.—ბორჯომის [illegible] ქარხნის მუშა.
12. კაპარავა დ. შ.—ტფილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1-ის გადამჭრელი მუშა.
13. სინცაძე ა. ა.—ტფილისის [illegible] სახელოსნოების მუშა ხარატი.
14. ბენიძე ნ. მ.—„26 კომისრის" სახელობის ქარხნის ზეინკალი.
15. ზიკოვი ვ. პ.—ტფილისის [illegible] სახელობის ქარხნის ზეინკალი ხარატი.
16. აზაზაშვილი მ. ბ.—ბერიას სახელობის საწევ-სარემონტო ქარხნის № 6 საამქროს მუშა-ხარატი.
17. დანელია ა. მ.—ტფილისის [illegible] კვანძის [illegible].
18. სპანიშვილი შ. მ.—ტფილისის [illegible] ფაბრიკის მუშა.
19. [illegible] ძ.—ტფილისის [illegible] ფაბრიკის მუშა-ქალი.
20. კურშალიშვილი ზ. მ.—ტფილისის [illegible].
21. აბრამაშვილი ე. მ.—ტფილისის [illegible] ფაბრიკის მუშა.
22. ბალდასაროვი მ. ი.—[illegible] სახელობის ქარხნის [illegible] ოსტატი.
23. ზუბიაძე ვ. დ.—„სოიუზტრანსის" № 1 გარაჟის შოფერი.
24. გრიბი ნ. ფ.—„სოიუზტრანსის" № 1 გარაჟის შოფერი.
25. კენჭაძე ა. მ. — ტფილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა-ქალი ინსტრუქტორი.
26. პოდიაჩევი ძ. ა.—საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარაჟის შოფერი.
27. ოზიაშვილი ი.—ტრამვაის ბრიგადირი დამმაგრებელი.
28. ხუცაძე შიო—სამტრედიის [illegible] საბჭ. მეურნეობის მუშა.
29. გურდულაძე ვ.—სამტრედიის [illegible] საბჭ. მეურნეობის მუშა.
30. ედილაშვილი მ.—სამტრედიის [illegible] საბჭ. მეურნეობის მუშა.
31. ჩიხლაძე მ.—სამტრედიის [illegible] საბჭ. მეურნეობის მუშა-ქალი.
32. ციხოლაძე—ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მუშა.
33. ბაჟელიძე ს. ა.—[illegible] სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.
34. შაიდია მ. გ.—[illegible] ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.
35. კოგოტელოვა ი. ა.—ქობულეთის ჩაის საბჭ. მეურნეობის მუშა-ქალი.
36. ფუნდუკიძე მ. ს.—აჭარისტანის მიწსახკომის ახალშენის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის მუშა-ქალი.
37. ქვეითაია ხ. ნ.—ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მუშა-ქალი.
38. დარჩია ოლ. გ.—მახარაძის ჩაის ფაბრიკის მუშა-ქალი.
39. ბვარეჯალაძე მ. ა.—მატარებლების შემდგენელი მუშა სად. ბათომში.
40. კოხრეიძე ა. ა.—სამტრედიის უბნის რკ. გზის შემკეთებელი მუშა.
41. შოვნაძე გ.—სამტრედიის უბნის რკ. გზ. მუშა.
42. ადამია ა. მ.—სამტრედიის სავაგონო დეპოს მობანავე მუშა.
43. ფრანჩუკ ვ. პ.—[illegible] ელექტრომავალი დეპოს მემანქანე.
44. კოზლოვი ვ. ი.—მატარებლების შემდგენი ტფილისის სადგურზე.
45. ჯაგაია ვ. ა.—სტალინის სახელობის საწევ-სარემონტო ქარხნის მუშა.
46. მგელაძე პ. ვ.—ტფილისის დეპოს მემანქანე.
47. გინძელაძე გ. ფ.—სტალინის სახელობის საწევ-სარემონტო ქარხნის [illegible] მუშა.
48. კურსაშვილი ვ. პ.—გორის საკონსერვო ქარხნის მუშა-ქალი.
49. ცქიფურიშვილი ლ. ა.—ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშა.
50. ცეცხლაძე ი. პ.—ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშა.
51. მეტრეველი მ. მ.—აბასთუმნის სანატორიუმის მუშა-მზარეული.
52. ჯანჯღავაძე ძ. პ.—[illegible] მუშა-მექანიკოსი.
53. კვაჭანტირაძე პ. ა.—სამტრედიის ლუდის ქარხნის მუშა.
54. ბერძენიძე ბ. მ.—მუშა, აჭარისტანის მიწსახკომის სუბტროპიკული საბჭ. მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე.
55. გიგაურიშვილი მ. ს.—მუშა-ქალი, თელავის ძაფსახვევი ფაბრიკის [illegible] თავმჯდომარე.
56. მეჭიაძე ი. ვ.—ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების მუშა-ზეინკალი.
57. ხაშბა ნ. მ.—ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების თბოელექტროცენტრის მემანქანე.
58. გულუა შ. ს.—ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების ელექტრომავლის მემანქანე.
59. ჩოხუა ზ. ა.—ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების სამთო ინჟინერი.
60. გვინჯილია ს. დ.—სოხუმის რაიონის [illegible] სოფ. [illegible] სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
61. ხიზანაშვილი ა. ი.—[illegible] სოფ. [illegible] კოლმეურნეობა „[illegible]" თავმჯდომარე.
62. ნიჟარაძე დ. ბ.—ქობულეთის რაიონის სოფ. [illegible] სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
63. ჩოხელი ი.—დუშეთის რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
64. ზურაშვილი ს. ი.—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე.
65. სომხიშვილი დ. ბ.—გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" თავმჯდომარე.
66. ურუშაძე მ. ო.—[illegible] სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
67. მარაბიშვილი ა.—კასპის რაიონის სოფ. კასპის კოლმეურნეობა „[illegible]" თავმჯდომარე.
68. გერმანოვი ძ.—ახალციხის რაიონის სოფ. [illegible] ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
69. გოგებაძე ბ. ო.—ქუთაისის რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობა „[illegible]" ბრიგადირი.
70. ხიკვა მუშბა—[illegible] სოფ. [illegible] კოლმეურნე-ქალი.
71. რუსიშვილი ვ. ს.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობის ბრიგადირი.
72. შენგელია დ. ს.—[illegible] რაიონის [illegible] კოლმეურნეობის ბრიგადირი.
73. ძაბირაძე ნ. ი.—[illegible] რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.
74. მანველიშვილი ხ. ა.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე-ქალი.
75. კულუხოვი ი. ფ.—სამხრეთ-ოსეთის [illegible] რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობის კოლმეურნე.
76. მუზაშვილი ი. დ.—ამბროლაურის რაიონის [illegible] კოლმეურნეობის კოლმეურნე.
77. სიჭინავა დ.—[illegible] რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე-ქალი.
78. ხულუხია ნ. ი.—[illegible] რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.
79. მიხრელიშვილი ი.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.
80. ახუბა უშა ვ.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობის კოლმეურნე-ქალი.
81. თოდუა მ. ი.—ზუგდიდის რაიონის სოფ. რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე-ქალი.
82. ჩიხლაძე მ.—გურჯაანის რაიონის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
83. ჯანაშვილი ნ. ა.—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „[illegible]" კოლმეურნე-ქალი.
84. ჯულელი ი. მ.—[illegible] რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
85. რუსტამ ბახტიარ ოღლი—[illegible] რაიონის [illegible] სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.
86. [illegible]
87. თავდგირიძე მ. გ.—სამტრედიის [illegible] საბჭოთა მეურნეობის [illegible] გამგე.
88. ხურგულაძე ს. ნ.—მახარაძის რაიონის სოფ. [illegible] კოლმეურნეობის აგრონომი.
89. იურაშიძე ვ.—[illegible] რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ვეტექიმი.
90. გიგუაშვილი დ. ს.—მასწავლებელი, [illegible] რაიონის პირველი დაწყებითი და საშუალო სკოლების კავშირის სარაიონო კომიტეტის თავმჯდომარე.
91. კირია ი. ბ.—ზუგდიდის რაიონის საშუალო სკოლის დირექტორი.
92. ტულუში ნ. ს.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] პირველდაწყებითი სკოლის გამგე.
93. მუხარინსკაია ზ. ი.—57 არასრული სკოლის მასწავლებელი ტფილისში.
94. გურგულაძე მ. ი.—88 საშუალო სკოლის მასწავლებელი-ქალი ტფილისში.
95. ტაიროვი ოჯარ ისმაილ ოღლი—ახალციხის რაიონის სოფ. [illegible] არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
96. სავანელი ა. ძ.—გორის საშუალო სკოლის მასწავლებელი-ქალი.
97. ბაქურაძე მ. ნ.—ამბროლაურის რაიონის [illegible] სასოფლო საბჭოს ქიმსამკითხველოს გამგე.
98. ოქრომშიძე—[illegible] სკოლის მასწავლებელი.
99. [illegible] მ. რ.—[illegible] მასწავლებელი.
100. ხუციშვილი ნ. მ.—გორის რაიონის სოფ. [illegible] პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებელი.
101. ელიაძე ი. ვ.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
102. სულტანოვი ი.—[illegible] რაიონის სოფ. [illegible] არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.
103. ჩოფიკაშვილი ი.—ყაზბეგის რაიონის სოფ. [illegible] საშუალო სკოლის მასწავლებელი.
104. არდია ი. ს.—წალენჯიხის რაიონის სოფ. [illegible] არასრული საშუალო სკოლის დირექტორი.
105. დარჩიაშვილი ი.—ექიმი, [illegible] პუნქტის გამგე.
106. ალიევ ისმაილ—ახალციხის რაიონის [illegible] სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
107. ჭურაშვილი მ.—[illegible] რაიონის [illegible] სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
108. კალაძე ვ.—სამტრედიის რაიონის [illegible] სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
109. პირიევი ა. ნ.—სამხრეთ-ოსეთის [illegible] სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
110. გვარილ ოღლი ალი—აჭარისტანის ჩაქვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
111. გიდიანაშვილი ვ.—ამბროლაურის რაიონის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ინსპექტორი.
112. სოხაძე პ. ძ.—მსროლელთა პირველი ქართული ლეგიონი, ასეულის [illegible].
113. ჯანიაშვილი შ. ი.—მსროლელთა [illegible] ქართული ლეგიონი, ოცეულის მეთაური.
114. ბაქანიძე ლ. ძ.—[illegible]
115. აიბა ს. ზ.—ცხენოსანთა [illegible]
116. აბელიდიანი ბ. ძ.—მსროლელთა მე-3 ქართული ლეგიონი, ოცეულის მეთაური.
117. კუჩუკატიშვილი ვ.—მსროლელთა მე-8 ქართული ლეგიონი, უმცროსი მეთაური.
118. ოჩიგავა ვ. ნ.—[illegible] ქართული საარტილერიო ლეგიონი, [illegible]
119. კოპაძე მ. მ.—წითელარმიელი.
120. დუდჩენკო ზ. ძ.—მეთაური.
121. ფიკლაური ა.—პარაშუტისტი-ქალი.
122. გოგიტიძე შ. შ.—ტფილისის აეროკლუბის მოწაფე პილოტი.
123. გოგბერთელი ნ. პ.—[illegible]
124. ქადიიშვილი—ქუთაისის [illegible] ვეტექიმი.
125. ჩიკვაიძე ბ. მ.—ფიზკულტურის ხელმძღვანელი ამიერ-კავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში.
126. რუხილაძე პ. ვ.—ინსტრუქტორი [illegible]
127. იოსელიანი დ. პ. — [illegible] ინსტრუქტორი.
128. გოგლიძე მ.—სსრ კავშირის [illegible]
129. ზალდასტანიშვილი ი.—მოწაფე-ფიზკულტურელი.
130. ჯანელიძე ვ.—აბაშის რაიონის [illegible] სასოფლო კოოპერატივის თავმჯდომარე.
131. ანჩელი ი.—ახალქალაქის რაიონის [illegible] სასოფლო კოოპერატივის თავმჯდომარე.
132. ტოკაძეშვილი ა. — [illegible] რაიონის [illegible] ქალი.
133. ბიბინეიშვილი ა.—„[illegible]" № 1-ის მაღაზიის გამყიდველი-ქალი.
134. შანშიაშვილი ძ.—ტფილისის [illegible] № 6 მაღაზიის გამყიდველი-ქალი.
135. ლოზიძე ა.—ტფილისის [illegible] მე-20 პურის მაღაზიის გამყიდველი.
136. ხაჯერაშვილი შ. ი.—[illegible] მე-3 ქართული სკოლის პიონერ-ხელმძღვანელი ტფილისში.
137. ტაბატაძე ა. ი.—ხაშურის მე-8 საშუალო სკოლის პიონერ-ხელმძღვანელი.
138. გოცაძე ს.—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ფრიადოსანი.
139. მოდებაძე ბ.—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ფრიადოსანი.
140. ტოგონიძე ვ. ი.—ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტის სტუდენტ-ფრიადოსანი.
141. ტუხაშვილი ს. ს. — სიღნაღის პედტექნიკუმის მოწაფე-ფრიადოსანი.
142. მნაცაკანიან ს.—ტფილისის 88 სკოლის მოწაფე-ფრიადოსანი.
143. ქანთარია ვ. ტ.—ტფილისის 39 სკოლის მოწაფე-ფრიადოსანი.
144. ცეცხლაძე ბ.—ტფილისის პირველი საცდელ-სანიმუშო სკოლის მოწაფე-ფრიადოსანი.
145. ციფურიშვილი შ. ი.—[illegible] რაიონის არასრული საშუალო სკოლის მოწაფე-ფრიადოსანი.
146. ხაჩიძე ი. შ.—სამხრეთ-ოსეთის [illegible] სკოლის მოწაფე-ფრიადოსანი.
147. ბოლქვაძე დ.—სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტ-ფრიადოსანი.

სს ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.
სს ცაკის მდივანი
თ. ქლენტი.

◇ ◇ ◇ ◇ ◇ ◇

სახელმწიფო უნივერსიტეტის ამაგდარ სტუდენტთა ჯგუფი მეცადინეობის დროს.

მასობრივი სახალხო დღესასწაული

ქალაქებსა და საკოლმეურნეო სოფლებში

ბათომში

ბათომი, 26 თებერვალი. სიხარულით და ზეიმით ჩატარდა საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავი ბათომში. [illegible]

დილის 11 საათზე რევოლუციის მოედანზე იწყება პარადი და დემონსტრაცია. ტრიბუნაზე არიან საქ. კპ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. [illegible], აჭარის ცაკის თავმჯდომარე ამხ. [illegible], სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. [illegible], ბათომის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. [illegible] და სხვ.

[illegible]

დემონსტრანტთა მისალმებული მეთაური: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!"

[illegible]

დემონსტრაციაში მონაწილეობს ლიხლის 10.000 მშრომელი.

სოხუმში

სოხუმი, 26 თებერვალი. [illegible] საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავი [illegible]

[illegible]

24 თებერვალს სოხუმის სახელმწიფო თეატრში [illegible] საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისადმი.

[illegible]

25 თებერვალს სოხუმში მოეწყო სიმპოზიუმი ნაწილების პარადი და მშრომელთა მძლავრი დემონსტრაცია.

[illegible]

ჭიათურაში

ჭიათურა, 26 თებერვალი. მარგანეცის ქალაქში სიხარულით და ზეიმით შეხვდა მშრომლები საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავს.

[illegible]

დილის 10 საათზე ქალაქის [illegible]

[illegible]

[illegible] დემონსტრაცია, რომელშიაც 10 ათასზე მეტმა მშრომელმა მიიღო მონაწილეობა, სამ საათს გაგრძელდა.

[illegible] 1937 წლის [illegible]

ფოთში

ფოთი, 26 თებერვალი. ფოთში საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის დღესასწაული დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა.

24 თებერვალს ყველა საწარმოში გაიმართა საზეიმო სხდომები. [illegible]

25 თებერვალს გაიმართა მძლავრი დემონსტრაცია. [illegible]

გორში

გორი, 26 თებერვალი. მასობრივი სახალხო ზეიმით აღნიშნეს გორის მშრომლებმა და გორის რაიონის კოლმეურნეებმა საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავი. [illegible]

24 თებერვალს გორში გაიმართა [illegible]

[illegible]

სტამბა „კომუნისტი" კამის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8327.